წელიწადი მესამე
ფასი 7 კაპ.
პარასკევი, 17 თებერვალი 1917 წ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ [illegible] პირველ გვერდზე პეტიტი ღირს [illegible] კ., უკანასკნელზე — 20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 37 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 37

გაზეთი
„საქართველო“
ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით ღირს:
მთელის წლით—15 მ., 1/2 წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ.80კ.
წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისთვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).
კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7საათამდე.
1 თებერვლიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქარ.“ ეღირება 13 მ.—75 კ.
ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.
რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

კნეინა ქეთევან ზურაბის ასული ანდრონიკაშვილისა, კნეინა დარია ზურაბის ასული ბაგრატიონ-დავითაშვილის და თავადი დიმიტრი ზურაბის ძე ანდრონიკაშვილი სახლობითურთ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი სიძის

ილია დავითის ძის
ჭავჭავაძის

გარდაცვალებას.
გამოსვენება 17 თებერვალს, დილის 9 საათზე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ბინიდან (ეკატერინეს ქ. № 5). დაკრძალვა კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე.
(1—580—1)

საყმაწვილო მოთხრობები
ეკ. გაბაშვილისა
გამოვიდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. წიგნის მაღაზიაში.

საბურთალოზე
შემთხვევით იყიდება ორი ნაჭერი მიწა.
პირველი, ზომით 466 ოთხკ. საჟენი, სძევს საბურთალოზე განზრახულ ხიდის თავთან. მეორე ნაჭერი (271 ოთხკ საჟ.) აკრავს საქართველოს სამხედრო გზას.
პირობების გაგება შეიძლება დიდუბის ბიბლიოთეკაში ყოველ-დღე, გარდა ორშაბათისა, 4—8 საათამდე.
(3—576—2)

ექიმი კბილისა
ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმანა
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ
საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს სახებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს უფროსი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9 1/2-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
მ. ი. ვარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ავადმყოფი კაცის მემკვიდრეობა

ეს მამაკაცი, ბოსფორის სრუტესთან რომ სცხოვრობს, მძიმე ავადმყოფია! ამ სიტყვებით დაახასიათა ნიკოლოზ პირველმა ოსმალეთის მდგომარეობა ერთს თავის დიპლომატიურს საუბარში. მას შემდეგ ავადმყოფმა მამაკაცმა თითქმის მთელი საუკუნე იცოცხლა: და რამოდენიმე სისხლისმღვრელს ომში თავის აქიმებს, მომკლელებს და ანდერძის ამსრულებლებს მწვავედ აგრძნობინა, რომ ჯერ კიდევ საკმაო ძალღონე შესწევს თავდასხმისაგან თავდაცვისათვის.

თანამედროვე ომმა ხელახლა პირველ რიგში დასვა ოსმალეთის გაყოფის საკითხი. დღეს, როგორც წინათ, მემკვიდრეობის უმთავრეს მაძიებლად რუსეთი გამოვიდა. დროებამ მხოლოდ ის მნიშვნელოვანი ცვლილება მოიტანა, რომ ინგლისი, რომელიც წინათ ყოველთვის ოსმალეთის საბოლოო დანაწილებას ეწინააღმდეგებოდა, დღეს, როგორც სჩანს, თანახმაა რუსეთს კონსტანტინეპოლი და სრუტეები დაუთმოს. ასეთია იმ კოლექტიური ნოტის დედააზრი, რომელშიაც ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებმა თავიანთი მიზნები აღნიშნეს ამ ერთი თვის წინათ.

გასაკვირალი არ არის, რომ რუსეთი ოსმალეთის გაყოფაში ხედავს ომის უმთავრეს მიზანს. მოსკოვის სამეფო თავის თავს ყოველთვის ძველი ბიზანტიის მემკვიდრედ სთვლიდა: ბიზანტიიდან მიიღო მან ქრისტიანული სარწმუნოება, უფლებრივი შემეცნება და ბიუროკრატიული წესწყობილების ფორმები. ამ ისტორიულ მოგონებებს ბოლო დროს ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიურ ინტერესებიც დაერთო.

რუსეთი უდიდესი მსოფლიო სახელმწიფოა ტერიტორიის სივრცითა და მცხოვრებთა რაოდენობით. ამ უზარმაზარ სახელმწიფოს გაშლილი ზღვა აკლია. ჩრდილოეთის ოკეანე გაყინულია ცხრა თვის განმავლობაში. მისი ნაპირები დაუსახლებელ უდაბნოს წარმოადგენენ და არც ძველი არხანგელის ნავთსადგურსა და არც ახალი მურმანის რკინის გზას არ ძალუძს მათი გაცხოველება. ბალტიის ზღვის გასაღები გერმანეთისა და სკანდინავური სახელმწიფოების ხელშია; კასპიის ზღვა არსებითად დახურულ ტბას წარმოადგენს. ასეთს მდგომარეობაში რუსეთის სახელმწიფო დიდს ორგანიზმს ჰგავს, რომელსაც მასაზრდოებელი ძარღვი აკლია.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზანს უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში თბილ, გაშლილი ზღვის მოპოვება წარმოადგენდა. ამ მიზნის განხორციელებას ყველაზე მედგრად ინგლისმა გაუწია წინააღმდეგობა. ინგლისმა ითამაშა მთავარი როლი ყირიმის ომსა და ბერლინის კონგრესში და რუსეთი შეძლებისდაგვარად ბოსფორის სრუტესა და აია სოფიას დააშორა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთმა აზიისკენ იბრუნა პირი. მესამოცდაათე წლებში რუსის ჯარმა კოკანდი, ხივა და ბუქარა დაიპყრა. ერთი გამოჩენილი რუსის სარდალი აქედან ინდოეთისკენ გალაშქრებას აპირებდა. ინგლისი ავღანისტანს შეუკავშირდა და რუსეთის მძაფრ მისწრაფებას გარდაუვალი ზღუდე დაუდო. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში რუსეთმა წყნარ ოკეანეს მიმართა: ხელში ჩაიგდო მანჯურია, პორტ-არტური და კორეის ნახევარკუნძულს წაეპოტინა. ინგლისი იაპონიას მიეხმრო და რუსეთის წინსვლა შეაჩერა. ბოლოს რუსეთი სპარსეთში შეიჭრა. 1907 წლის ხელშეკრულობაში ინგლისმა აღიარა, რომ რუსეთს პოლიტიკური და ეკონომიური უპირატესობანი აქვს ჩრდილო სპარსეთში. თავრიზი, თეირანი, რეშტი, ისპაჰანი რუსეთის გავლენის სფეროში მოექცა. ინგლისს ნაკლებ დასახლებული სეისტანი და სპარსული ბელუჯისტანი ხვდა. მაგრამ ეს პროვინციები ინდოეთის ოკეანესა და სპარსეთის ყურეს საზღვრავენ. და ინგლისის მთავარ კოლონიას რუსეთის საფრთხისაგან იცავენ. არც მტრობასა და არც მეგობრობაში ინგლისს არასოდეს არ დავიწყებია მთავარი მიზანი: რუსეთის დაშორება გაშლილ ოკეანესგან.

გუშინდელი მოწინააღმდეგენი დღეს ერთად ფიქრობენ ოსმალეთის მემკვიდრეობის განაწილებას. ჯერ ნადირი მოკლული არ არის და ძნელია იმის თქმა, თუ როგორ მოხდება მისი ტყავის გაყიდვა. მაგრამ ერთი რამ უეჭველია ყოველს შემთხვევაში. თუ რუსეთმა პირი საბოლოოდ მახლობელ აღმოსავლეთისკენ იბრუნა, ის ეცდება ყოველი დაბრკოლება გადალახოს, რომელიც კავკასიასა და ანატოლიაში გადაეღობება. კავკასიელ და მცირე აზიელ ერების ბედი უმაღლეს იმპერიალისტურ მიზანს დაექვემდებარება. ბოსფორისა და კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდებას თავის თავად დიდი მნიშვნელობა არ ექნება, თუ შავი ზღვა ნამდვილ რუსულ აუზად არ გადაიქცა. ეს კი მხოლოდ ფართო რუსულ კოლონიზაციის შემწეობით შეიძლება. პირველი ნაბიჯები მეცხრამეტე საუკუნეში გადაიდგა კიდეც. კავკასიური ომების დროს ჩერქეზებისა და აფხაზების მოსახლეობა გაიცალა და ამ ხალხის ადგილ-მამული რუსის ყაზახებმა და გენერლებმა დაიჭირეს. რუსი ახალშენების ტალღა მძაფრად მიიწევს სამხრეთისაკენ. დღეს თუ არა, ხვალ გურია, სამეგრელოს, აჭარის და ლაზისტანის სანაპიროების საკითხი წამოიდგება. ეს საკითხი მჭიდროდ გადაჭდობილია თანამედროვე ომის მსვლელობასა და ავადმყოფი კაცის ბედისწერასთან.

ვ. ლელიანი.

ქართული პრესა

გაზეთ „სამშობლო“-ში (15 თებერვლის ნომერი) ბ-ნი ტრიფონ ჯაფარიძე იგონებს ჩვენი წარსულის ერთ საამაყო საგანძურს, ქართველი ერის გარეთ გადახეთქილ ენერგიას რომ შეუქმნია, **ათონის ივერიის მონასტერს**; ავტორი მოუწოდებს ქართველ საზოგადოებას დაიცვას ეს საგანძური, რომელიც ჩვენის უნიათობით და რუსეთის დიპლომატიის სიძაბუნის გამო დღითი დღე ნადგურდება. ავტორი სწერს:

„სხვა უბედურებასთან ჩვენ ტანჯულ სამშობლოს ის მარცხიც მოუვიდა, რომ საქართველოს გარეთ თავისი საუკეთესო შვილთა მოღვაწეობით შექმნილი დიადი სიმდიდრე დაკარგა. აი, ასეთ დაკარგულ სიმდიდრეთ უნდა ჩავსთვალოთ წმინდა ათონს მდებარე ივერიის მონასტერი.

დღეს **ათონის საკითხი** მორიგ საკითხად დგება და ამიტომ საჭიროა ამის შესახებ წინასწარ აზრი შევიმუშაოთ და სამოქმედო გეგმა მოვაწყოთ.

აი, მოკლეთ ათონის დღევანდელი ვითარება.

ათონის მთაზე დღეს ოცი დიდი მონასტერია და სამოცამდე სავანე; მათში იღწვის 18 ათასი ბერი სხვადასხვა ეროვნებისა.

უმთავრესი მონასტერი, თანაც უძველესი, რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს, როგორც ისტორიულად, ისე სიმდიდრით და სიმკაულებით არის ლავრა წმ. ათანასესი; მეორე ადგილი უჭირავს ვატ პედის მონასტერს, ხოლო მესამე ივერიისას. ივერიის მონასტერი არის მეათე საუკუნეში ქართველი ბერებისაგან აშენებული და გამშვენებული. აქ იღვწოდა 500 ქართველი ბერი. ამ მონასტრის სასარგებლოთ ფესალონიკეს ახლო მთელი სოფელი იყო ქართველებით დასახლებული. ამ სოფელს ერქვა **ერისო.** ივერიის მონასტრის ქონების ღირებულება რამდენიმე მილიონს აღემატება; წლიური შემოსავალი კი 300,000 მანეთს უდრის. უმთავრესი ქონება ივერიის მონასტრისა ბესარაბიაში და საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებშია, თუმცა ნაღდ შემოსავალს უხვად მოსკოვში არსებული **მეტოხი** (подворье) აძლევს.

ეს მონასტერი ქართველების სიმამაცით ნაშოვარი ფულით და ოფლის ღვრით აღშენებული ძალმომრეობით, უწესო და ვერაგული მოქმედებით ბერძნებმა მიითვისეს მაშინ, როცა საქართველოს სხვა და სხვა გარემოებით მწარე დღეები ადგა.

ქართველი ბერების რიცხვი ისე შემცირდა ათონში, რომ დღეს 30 მეტი აღარ არის და ისინიც ზნეობრივ და ნივთიერ ტანჯვას განიცდიან. ბერძენ ბერთა ძალმომრეობას და ვერაგულ მოქმედებას ვერ გაუძლეს ქართველმა ბერებმა და საჩივარი დაიწყეს, მაგრამ 50 წელიწადი გადის და სამართლიან შედეგს ვერ მოვესწარით. რუსეთის ელჩების სისუსტე და ჩვენი დაუდევრობა ხელს უწყობს ბერძნების წრეგადასულ თვითნებობას. დღეს 30 ქართველი ბერი საცოდავათ არიან მოთავსებული ერთ სავანეში და უწინდელი ასიათასი წლიური შემოსავლის მაგიერ ღებულობენ მცირე დახმარებას, კერძო შეწირულებას, სოხუმის მამულების იჯარას და ამით არსებობენ. გარდა ნივთიერი ქონებისა, ივერიის მონასტერშია საყურადღებო ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია ჩვენი ძველი საბუთები, საერო და საეკლესიო მწერლობის ნიმუშები. ეს სიმდიდრეც ბერძნებსა აქვსთ დამალული“.

მთელი ათონის მთაზე მდებარე მონასტრების და სავანეების საქმეებს განაგებს პორტატი—ესე იგი ერთგვარი საბჭო, რომელიც შესდგება ოცი დიდი მონასტრის ძმათა თითო წარმომადგენლისაგან.

პორტატში დიდი მონასტრებიდან წარმომადგენლათ სხვა და სხვა ეროვნების ბერებსა ხვდებათ ხოლმე ყოფნა, ასე რომ ყოველი მართმადიდებელი ეროვნების (სერბიელი, ბოლგარელი, რუსი, ბერძენი, ჩეხი) ბერი მოხვდება ხოლმე პორტატის შემადგენლობაში. გამონაკლისს შეადგენენ ქართველი ბერები, რომელთაც იმის შემდეგ, რაც ივერიის მონასტერი წაერთვათ, წარმომადგენლის არჩევის უფლებაც დაკარგეს. ამის გამო მთელი მართვა-გამგეობა სხვის ხელშია და უმეტესათ კი ბერძნების ხელში, რადგან მათი რიცხვი ყოველთვის გაცილებით მეტია. ამ გვარათ ქართველ ბერებს საშუალებაც არა აქვსთ თავისი მდგომარეობის შესახებ საკითხი აღძრან პორტატში სამმართველოში. ამის გამო არავითარი გაუმჯობესება საქმის ვითარებისათვის იქ ადგილობრივ სამმართველოში მოსალოდნელი არ იყო და ამიტომ ამ ოთხი წლის წინ ცდილობდენ ეს საკითხი საერთაშორისო მოლაპარაკების საგნათ გაეხდათ. ამის შესახებ იყო მუშაობა, მაგრამ ეს განზრახვა არ აღსრულდა.

დღეს როგორც ვხედავთ გარემოება არსებითად იცვლება. ათონი სადაო ტერიტორიაზე მდებარეობს, ოსმალეთი განსაცდელშია, რუსეთი როგორც გამოაშკარავდა, ათონს იპყრობს. ყოველ შემთხვევაში საკითხი ათონის შესახებ ამ ომის დასასრულს უეჭველათ დაისმის. ათონის მთაზე სხვა და სხვა ეროვნების საკუთრებაა და ამიტომ მისი დაპყრობის შემდეგ ბევრნაირი ლაპარაკი იქნება. საჭიროა ჩვენის მხრივ დასაბუთებული და გარკვეული აზრი გამოითქვას, რომელსაც ყველა ანგარიშს გაუწევს. ქართველი ბერების უფლება, ჩვენი ეკლესიის მესაკუთრეობა სამართლიანი და სწორი საზომით უნდა გაირჩეს და დროთა ვითარებით გაბატონებული უწესოება, ძალმომრეობაზე დამყარებული უფროსობა უნდა აღმოიფხვრას. სამართლიანობამ უნდა დააკმაყოფილოს შელახული თავმოყვარეობაც და უმწიკვლო, ფაქიზი სინიდისის მოთხოვნილებაც.

ისტორიული საბუთები ამ საკითხის შესახებ სავსებით გამორკვეული და აღნუსხულია, საჭიროა მხოლოდ სამოქმედო გეგმის შედგენა“.

შენიშვნები

I

საზოგადოებრივის შეგნების მიმართულება ჩვენში.

საქართველოს პაწია სხეულს დღესაც ბევრნი ახვევიან ისეთნი, რომელნიც სიტყვით საზოგადოების გარდაქმნას მოითხოვენ, ხოლო საქმით არაფერს აკეთებენ ამის მისაღწევად. როდესაც ამას ვამბობთ, სახეში ჩვენის ერის ერთი რომელიმე საზოგადოებრივი კლასი ან წოდება არა გვყავს. განა შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი მდგომარეობა, როდესაც მემამულე, ბურჟუა, გლეხი და ან პროლეტარი ერთსა და იმავე უმოქმედობას შეეპყროს და არსებითად არავითარ ღირებულებას არ შეიცავდნენ საზოგადოებრივი ნგრევა-შენების დიად პროცესში? შესაძლებელია, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ბუშმენის მორალი... ჩვენში თუ აქებენ თავადს, უთუოდ ცათამდე უნდა აიყვანონ; ასევეა სხვა წოდებისა და წრის პირთა შესახებაც. ადამიანის ნამოქმედარის შეფასება დამოუკიდებლად წრისა და მდგომარეობისა ვერ მოგვიხერხებია და ამაშია ჩვენი ჩამორჩენა და, თუ გნებავთ, დიდი უბედურებაც. კარგია და მოსაწონია ის, რაც ახასიათებს ჩემს წრესა და მდგომარეობას, ხოლო გარეშე ამისა ყოველივე „ეშმაკეულისაგან არს“... ასეთი მსჯელობა და შეხედულება არსებითად ყალბი და შეუწყნარებელია.

მეცნიერება, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების მიზეზებს იკვლევს, საერთო წესების დადგენასა და მოვლენათა განსაზღვრაში ვერ დაამყარებს ერთ რომელსამე კლასის ან წოდების მატერიალურ და კულტურულ შემოქმედს, რომ რთული სოციალი სინამდვილე წარმოგვიდგინოს და მისი განვითარების გასაღები მოგვცეს. საზოგადოებრივის ცხოვრების ერთ რომელიმე სოციალ კატეგორიის ღირებულებით შეფასება ვერ იქნება სწორი და უნაკლულო. უფრო მართებული იქნებოდა, რომ ეს ცხოვრება წარმოვიდგინოთ როგორც ჯამი სხვა და სხვა სოციალ წრის კულტურულ-მატერიულ შემოქმედებისა. წარმოუდგენელია ისეთი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია და ხელმწიფება, რომელიც ანგარიშს არ უწევდეს ერის მრავალფეროვანებას, რომელიც კლასთა და წოდებათა სახით არის წარმოდგენილი. ჩვენში ხშირად ამბობენ, რომ სახელმწიფო ერთ რომელიმე გაბატონებულ კლასს ეყრდნობა და იმის სურვილებს უწევს მხოლოდ ანგარიშსაო. ეს მოარული აზრი მართალია, მაგრამ მართალია შედარებით და არა ყოველთვის აბსოლიუტურად. დღეს არც ერთი სახელმწიფო აღარ დარჩენილა დედა-მიწის ზურგზე, რომ იქ ხელმწიფის უზენაესი ნება და ძალა განსაზღვრული არ იყოს ხალხთა წარმომადგენლების კანონდებითის უფლებით. კარგად თუ ავად, სახელმწიფოთა აწინდელი ვითარება ისეთია, რომ იქ სხვა და სხვა წრისა და მდგომარეობის წარმომადგენელნი თათბირობენ და აწესებენ კანონს საქვეყნოს, საეროს, ყველა წოდებისა და წრისათვის სავალდებულოს. საზოგადოებრივი ცხოვრება არის კომპრომისი სხვა და სხვა წოდებრივ თუ კლასიურ ინტერესებისა. მხოლოდ ამგვარად გაგებული საზოგადოებრივი ცხოვრება შეგვიძლია ჩავთვალოთ ნორმალ პირობად თითეული ერის ნების თავისუფალ გამოსახულებისა იმ უფრო ზოგად და უზენაეს ორგანიზაციის ფარგალში, რომელსაც დღეს სახელმწიფოს უწოდებენ.

საქართველო, როგორც ვიცით, მოკლებულია საკუთარ სახელმწიფოებრიობას. ერის განვითარების პირობები მეტად თავისებურია ჩვენში. ერთ და იმავე დროს ჩვენ გვიხდება ორ სხვა და სხვა ცნებისა და მოვლენის ერთმანეთისათვის შეთანხმება. ესენი არის: **ერი და სახელმწიფო**. სახელმწიფოებრივი განსჯა განკითხვა არ ეთანხმება ჩვენს ეროვნულს თავისებურობას, ხოლო ეროვნული მისწრაფება შეუწყნარებელია სახელმწიფოებრივის ინტერესების და პოლიტიკის თვალსაზრი-

სით. ამ ორ მოვლენის შერიგება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა თანაზრად ორთავენი უთმობენ ერთმანეთს და არა ერთი მეორეს. უკანასკნელ გარემოების მიხედვით სუსტი იჩაგრება ძალა-უფლების მპყრობელის მიერ, ხოლო ეს თავისუფალი შეთანხმება კი არა—დამორჩილებაა. საქართველოს სწორედ უკანასკნელ ამ გარემოებასთან აქვს საქმე და ამიტომაც ის მოკლებულია საშუალებას, რომ სახელმწიფოს შინაგანი კომპრომისული პოლიტიკა ეროვნულ ჩარჩოებში განახორციელოს, ის მოკლებულია, უკეთ რომა ვსთქვათ, სახელმწიფოებრიობას. ყოველივე ჩვენი ბედისა თუ უბედობის სათავე აქა სძევს და ქართული საზოგადოებრივი აზრიც იძულებულია უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს ამ ერთად-ერთ ჩვენს საჭირბოროტო საკითხს.

ზევით ვამბობდით ჩვენებურ უმაქნისობაზე და ადამიანის საზოგადო ღირებულების შეფასების ცალმხრივობაზე. აღვნიშნეთ, რომ ჩვენში ყველაფერი თავისებური და გამარტივებულია, მოვიხსენიეთ ბუშმენთა მორალი და სხვა... თუ ყველა ამ ნაკლს განვიხილავთ და წარმოვიდგენთ როგორც ეროვნულ სენს, მაშინ უთუოდ გარეშე მოვლენა უნდა ჩავთვალოთ ყოველსავე ამის მიზეზად. საკუთარ ეროვნულის და გარეშე სახელმწიფოებრივის ნებისყოფის დაპირისპირებით შეიძლება ავხსნათ ყოველივე ჩვენი ეროვნული უნიათობა და დაძაბუნება. მდგომარეობა ჩვენი მეტად რთულია და ის, ვინც მოკლებულია პირად შემოქმედებას და ნების სიმტკიცეს, ადვილად ვარდება სხვა და სხვა მოხერხებულად დაგებულ მახეში და ცხოვრების ორომტრიალში შეცურვებულს ავიწყდება ის ერი, რომელს წარმოშობით ეკუთვნის, და ის წრეც, რომლის შეგნების მატარებელია. რა გასაკვირველია ამიტომ, თუ ჩვენში მრავლად მოიპოვებიან ისეთნი, რომელნიც გუნდრუკს უკმევენ არსებულს, შეჰრიგებიან მას, ხოლო ყოველივე ახალი და მომავლის იმედიანობით გაშუქებული ეხამუშება და გაურბის კიდეც. რა გასაკვირველია, რომ ასეთ ყოფაში თვითეული პირი ვერ გაჰშორებოდეს თავის კლასიურ-წოდებრივ მდგომარეობას, ვინაიდან იმ ურთიერთობაში, რომელსაც ჩვენში სახელმწიფოებრივი ორგანოები ამყარებენ, ის ნაკლებად ხედავს თავის საკუთარს ეროვნულს. ჩვენში კერძო პირის შეგნება კლასიურ-წოდებრივი მდგომარეობიდან პირდაპირ გადადის სახელმწიფოებრივზე და ნაკლებად კიდენ ეროვნულზე, რადგან ეს უკანასკნელი მისთვის სავალდებულო არ არის და არაა ნაკარნახევი კერძო პირთა უფლება-მოვალეობის განმსაზღვრავ კანონთა კრებულის კოდექსით. ამიტომაც კერძო პირის მოღვაწეობა ჩვენში ფასდება არა იმის მიხედვით, თუ როგორია მისი საზოგადოებრივი ღირებულება, არამედ უსინჯავენ კლასიურ-წოდებრივ არქვს და ამგვარად გამოჰყავთ ის ან ბელზებელის ქურუმად და ან უზადო სათნოების მოციქულად. ამაღლება ზეკლასიურ და ზეწოდებრივ შეგნებამდე ასეთ პირობებში ერთის მხრით დიდ დაბრკოლებას შეიცავს, ხოლო მეორეს მხრით არიან ისეთნი პირნი და წრეები, რომელნიც ასეთ შეგნებას ანაცვალებენ ცნებას სახელმწიფოებრივს, დამოუკიდებლად იმისა—თავისი ეროვნულია ეს სახელმწიფოებრიობა, თუ უცხო, გარეშე ძალისაგანაა ის მოვლენილი. ერთის მხრით ლაჩრობაა, უნიათობაა, „მეშჩანობა“, როგორც რუსულ ლიტერატურაში უწოდებენ, მეორეს მხრით—პრინციპიალი ქონიანობა იმის შესახებ, რომ აწინდელ წვრილ ერებმა დიდ უფლებამოსილ სახელმწიფოთა საზღვრებში თავის პოლიტიკის წარმოებასა და სხვა პრეტენზიებზე ხელი უნდა აიღონო... „გინდ წყალს დაუხრჩივარ, გინდ ცვარსაო“,—ამბობს ქართული ხალხური ანდაზა. სულ ერთია, რა დაღუპავს საქართველოს მთლიანობას—ქონდრის კაცთა უთავობა-შეუგნებლობა, თუ შეგნებული იერიშები პრინციპიალ მოაზრეთა ბანაკისა. ერთიცა და მეორეც ეშმაკეულისაგანაა და ქართველ ერს თანაბრად მოუხდება მათს წინააღმდეგ ბრძოლა.

დ. არონიშიძე.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

კიმპოლუნგ-იაკობენის ხაზზე მოპირდაპირეს დაუკავებია რამოდენიმე სიმაღლე ვალპუტნას სამხრეთ-დასავლეთით. იმავე დღეს საღამოთი რუსის ჯარს კონტრიერიშით დაუბრუნებია მხოლოდ ის სიმაღლე, რომელიც მდებარეობს რკინის გზის მახლობლად. დანარჩენი მოპირდაპირეს შერჩენია. დეპეშაში ნაჩვენები არ არის მტრის ჯარის რაოდენობა. თუ გავიხსენებთ, რომ რუსეთის სამხედრო შტაბი ყოველთვის ამ მიმართულებას აქცევდა მთავარ ყურადღებას და იერიშებს განუწყვეტლივ სწორედ აქ აწარმოებდა უფრო ფართო დემონსტრაციის სახით, მაშინ ჩვენ შეგვეძლება ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ მოპირდაპირის ძალთა რაოდენობაზე. რუმინეთის ოპერაცია გერმანეთმა ისე გაბედულად მხოლოდ იმიტომ აწარმოვა, რომ კიმპოლუნგ—დორნა-ვარტას ხაზით უზრუნველყოფილიყო შეტევისაგან. არა ერთხელ აღუნიშნავთ რუსეთის სამხედრო მიმომხილველთ ის მოსალოდნელი მარცხი, რომელიც მოპირდაპირეს უნდა მოსვლოდა სწორედ ამ მიმართულებით. გენერალ ლეჩიცკის არმიამ მართლაც ერთს დროს გრძნობლათ აზარალა ავსტრიის ჯარი, მაგრამ მალე იძულებული გახდა შეჩერებულიყო, რადგან მდებარეობა ამ მიდამოსი ყოველმხრივ ხელს უშლიდა ოპერაციის გასაფართოებლად. რუს-დღეობითაც კიმპოლუნგ-იაკობენის ხაზს თავისი სტრატეგიული მნიშვნელობა არ დაუკარგავს. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის სამხედრო შტაბი გენერალურ ოპერაციის დაწყებას განიზრახავს, მაშინ მთავარი სამოქმედო გზა, რომელმაც ერთდროულად უნდა წამოაყენოს გალიციის და რუმინეთის ასპარეზების ბედი, სწორედ ეს ხაზი იქნება უფრო მართალი იქნებოდა ვვეფიქრნა, რომ მოპირდაპირის ძალები სწორედ ამ მოსაზრებითაა გამოწვეული. უკანასკნელისათვის საჭიროა იმდენად შეაწუხოს რუსის ჯარი და მასთანვე გამოასწოროს ხაზი, რომ სავსებით უზრუნველჰყოს თავისი თავი ამ მიმართულებით მოულოდნელ ხიფათისაგან.

იტალიის ასპარეზზე მოპირდაპირე ქალაქ გორიცას ზარბაზნებს უშენს. რამოდენიმე ყუმბარა თვით ქალაქსაც მოხვედრია.

X.

ომის დეპეშები

16 თებერვალი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზზე სროლა და მჭვერავთა მოქმედებაა.

რუმინეთის ასპარეზი. 14 თებერვალს ზარბაზნების დაშენის შემდეგ, მოპირდაპირე იერიშით წამოვიდა იაკობენ-კიმპოლუნგის გზატკეცილის ორივე მხარეს და სოფ. ვალეპუტნას სამხრეთ-დასავლეთით 3 ვერსზე მდებარე მაღლობები აიღო. იმავ დღეს, საღამოთი, სამაგიერო იერიშით მოპირდაპირე რკინის გზასთან მაღლობიდან განვდევნეთ და შარა-გზის ორსავ მხარეს მაღლობები დავიბრუნეთ.

კავკასიის ასპარეზზე სროლაა. პონტიის ტავრზე თოვლის ქარბუქია.

საფრანგეთი.

პარიზი. დღის ოფიც. ცნობა. საიის სამხრეთ აღმოსავლეთით მოულოდნელად თავს დავესხით გერმანელებს და ტყვეები წამოვიყვანეთ. ბუზანვილს და ვოგეზებში მჭვერავთა შეტაკებაა.

პარიზი. საღამოს ოფიც. ცნობა. ეშენის, სონტორენის და დევრენის მიდამოებში ძლიერი სროლა იყო ზარბაზნებისა, აგრეთვე ჰავრის სამხრეთით და არგონებში ვოკუას მიმართულებით და ბალიის მიდამოში. მტრის მოულოდნელი შემოტევა შევაჩერეთ.

ინგლისი

ლონდონი. თემთა პალატაში ბონარ-ლოუმ შეკითხვაზე უპასუხა: რუსეთთან შეთანხმებით, მოკავშირე სახელმწიფოებში მყოფი სამხედრო ბეგრის წლოვანების ქვეშევრდომნი ან თავისს სამშობლოს უნდა დაუბრუნდნენ, ან ბინადრობის მიხედვით ჯარში ჩაირიცხნენო. დილონის შეკითხვაზე ბონარ-ლოუმ განაცხადა: რუსეთის ემიგრანტებიც ამ წესს ექვემდებარებიანო. საფრანგეთის მთავრობაც მონაწილეობდა ამ მოლაპარაკებაშიო.

ლონდონი. საფრანგეთის ასპარეზზე მომქმედ ინგლისის მთავარშტაბის ოფიც. ცნობა. ანკრის ჩრდილოეთით და სამხრეთით კვლავ გავიმარჯვეთ და ავიღეთ სოფელი ბარკე, სოფ. ლინი და პუისომონის სიმაგრის დასავლეთით და ჩრდილოეთით გავმაგრდით. ლანსის სამხრეთ-დასავლეთით მტრის მიწურები და ტყვიისმფრქვეველთა დასადგმელი ბაქნები დავანგრიეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. არმანტიერის აღმოსავლეთით 17 კაცი დავატყვევეთ, ხელთ ვიგდეთ ტყვიისმფრქვეველი და დიდი პროჟექტორი.

იტალია

რომი. იტალიის მთავარშტაბის ოფ. ცნობა. გორიცის აღმოსავლეთ მიდამოში ზარბაზნების სროლა გაძლიერდა; ყუმბარები ქ. გორიცაში ცვივა. მდ. ვარტოიბიცის და ფრიჯიოს შესართავთან მტრის რაზმები ჩვენს სანგრებთან მოახლოვებას შეეცადნენ, მაგრამ მოვიგერიეთ. სანარკის ჩრდილო ფერდობებზე მოულოდნელის შეტევით მტრის სანგარში შევეჭერით, სანგარი დავანგრიეთ და მომგერიებელნი გავდევნეთ.

მტრის მფრინავებმა ვალონასა და კარსოს ყუმბარები დააყარეს; რამდენიმე კაცი დაიჭრა.

უილსონის ეპისტოლე

(პეტ. დეპ. სააგ.)

ვაშინგტონი. უილსონმა კონგრესს შემდეგი ეპისტოლე გადასცა: „ჩვენ მეტად მწვავე ხანას განვიცდით. ეს ვალდებულად მხდის პალატასთან და კონგრესთან მჭიდრო კავშირი ვიქონიო. 31 იანვარს გამომჟღავნებული გერმანეთის პოლიტიკა უკვე ოთხი კვირაა სისრულეში მოდის. ასეთ მოქმედების პრაქტიკული შედეგი ჯერ კარგად არ გამორკვეულა. სხვა ნეიტრალმა სახელმწიფოებმა კეთილგონიერებად არ ჩასთვალეს შტატებს მიმხრობოდნენ საერთო მოქმედებისათვის. ჩვენმა ალებმიცემობამ უფრო საფრთხის შიშით იზარალა, ვიდრე სხვა მოქმედების გამო, რადგანაც გემების უმრავლესობა დაშინდა და უმოძრაოდ სდგას ამერიკის ნავთსადგურებში; ზარალის და დაღუპვის შიშითაა გამოწვეული და არა ამერიკულ გემების დაღუპვით. ამერიკული გემები დაღუპვის შიშის გამო ვერა ჰბედავენ ზღვაში გასვლას. ეს კი თავისთავად მისაღწევად ჰხდის იმ მიზანს, რისთვისაც გამოცხადებულია დაუნდობელი წყალქვეშ ბრძოლა. ჩვენს შესახებ გამბედაობა მქონდა მეფიქრა, რომ წყალქვეშა ნავები ამერიკულ გემებს არ შეეხებოდნენ, ეს დღევანდლამდე ასეც მოხდა. მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ამ საგნის თაობაზე გერმანულ გაზეთებისა და მთავრობის განცხადებაც, რომელიც ამ შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებს: ჩვენს ხალხს უფრთხილდებიან—ეს ან შექმნილ გარემოებას უნდა მიეწეროს ან წყალქვეშათა უფროსების სიფრთხილეს.

უგუნურება იქნებოდა უარგვეყო, რომ შექმნილ გარემოებას შეიძლება დიდი საფრთხე და გართულება მოჰყვეს; წინაუხედაობა იქნებოდა ამისათვის სამზადისი არ დაგვეწყო. მე დაუყოვნებლივ უნდა მოგთხოვოთ მონდობილობანი, რომელიც უზრუნველ ჰყოფს ჩემს თავისუფალ მოქმედებას ყოველ წუთს. ჩვენ ჩვენის ალებმიცემობის და ჩვენს მოქალაქეთა სიცოცხლის მოსარჩლედ უნდა გამოვიდეთ ამ მძიმე განსაცდელის დროს და ჩვენი უფლებანი სრულის თავშეკავებით და გარდუვალის გადაწყვეტილებით უნდა დავიცვათ. ჩემი სურვილია, შტატები ომში ჩარევას გადავარჩინო. ეს მით უფრო მაფიქრებს, რომ ამერიკის ხალხს არა ჰსურს ომში ჩარევა. ჩემ მიერ არჩეული სამოქმედო გზას ომში ჩარევა ვერ მოჰყვება. ეს შეიძლება მხოლოდ სხვა სახელმწიფოთა ბარბაროსულმა მოქმედებამ გამოიწვიოს. გთხოვთ მომცეთ რწმუნებულობა და სავაჭრო გემები მოსაგერიებლად შემაიარაღებინოთ, თუ ეს საჭიროდ ვცანი. აგრეთვე დასტური მომეცით მივიღო ყოველი ღონე და ბრძოლის საშუალებანი, რათა ჩვენი მოქალაქეების გემები დავიცვა მშვიდობიან მენავეობის დროს. ამას ვესწრაფით არა მარტო ნივთიერ სარგებლობისათვის, არამედ ასეთი თავისუფალი ალებმიცემობა საერთაშორისო უფლების ქვაკუთხედად მიგვაჩნია. ჩემი მისწრაფებანი მიმართულია შებრალების უმაღლეს პრინციპების და კანონიერ მოსახლეობის განსამტკიცებლად, რაზედაც აღიზარდა კაცობრიობა, იმ პრინციპების, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს ღირებულებას აძლევს, ქვეყნების სამრეწველო განვითარებას ხელს უწყობს, ქალებს და ბავშვებს იფარავს. არა მგონია რომელიმე ამერიკელი, ვინც კი ამერიკულის მოქალაქობრივობით არის გაჟღენთილი, ამ პრინციპების გამოსარჩლებისათვის შეყოყმანდეს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი

ახალშენების დახმარება.

ომიანობის დროს ინგლისს დიდი დახმარება გაუწიეს მისმა ახალშენებმა.

კანადამ მიაშველა 400 ათასი ჯარის კაცი. კანადაში 7 ნახ. მილიონი მცხოვრებია, ამათგან 3 მილიონი ინგლისურ ენას თავის დედაენად არა სთვლის. ამის გარდა კანადაში 700 ათასი გერმანელი და ავსტრიელი ბინადრობს. კვებეკის პროვინციაში 2 მილიონი ფრანგი მოსახლეობს და ფრანგულადვე ლაპარაკობს. ფრანგებმა მხოლოდ 13 ათასი მოხალისე გამოიყვანეს.

ავსტრალიაში 4 ნახევარი მილიონი მკვიდრია. მათ ინგლისს მიაშველეს 300 ათასი ჯარის კაცი. საყოველთაო სამხედრო ბეგარა, ავსტრალიამ არ მიიღო.

ახალ-ზელანდიის მოსახლეობა უდრის 1.008,468 სულს. მათ 60 ათასი ჯარის კაცი მიაშველეს ინგლისს.

აფრიკის ახალშენებმა ინგლისს მხოლოდ 1 ბრიგადა მიაშველეს. ამის გარდა შეჰკრიბეს 60 ათასი მოხალისე. ამათგან 40 ათასი სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში გერმანეთის ახალშენის წინააღმდეგ საბრძოლველად. 10 ათასი კი აღმოსავლეთ აფრიკაში გენერ. სმეტსის სარდლობით იბრძვის.

ომის საჭიროებისათვის 1915—1916 წ. კანადას 80 მილიონი გირვანქა სტერლინგი უვალნია. კანადას დღეში 200 ათასი გირვანქა სტერლინგი ეხარჯება ომის საჭიროებაზე.

ავსტრალიის ხარჯი 60 მილიონ სტერლინგამდე აღწევს.

ახალ-ზელანდიას 10 მილიონი გირვანქა სტერლინგის შინაური სესხი აუღია, ე. ი. კაცის თავზე 10 გირვანქა სტერლინგი (150 მან.)

ინგლისის ახალშენები დღევანდლამდე ომიანობის გამო 2350 მილიონი მანათით დავალიანებულა.

გერმანეთის გემები

იაპონიის საზღვაო უწყების ცნობებით გერმანეთს 1,953 სავაჭრო გემი ჰქონია. ამათგან 398 ომიანობის დროს სხვა და სხვა ქვეყნებში მომწყვდეულა, 163 მოკავშირეების ქვეყნებში დაუტყვევებიათ და 62 დაუღუპავთ. სულ დაჰკლებიათ 623 სავაჭრო გემი.

ჩინეთი

ტოკიოში მყოფი „რ. ს.“-ის თანამშრომელი იტყობინება: ჩინეთი თითქმის მზათაა გერმანეთის წინააღმდეგ ომში ჩაერიოს. პირველი ნაბიჯი გერმანეთის მიერ გამოცხადებულ გარემოცვის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადება იყო. ტოკიოს გაზეთი „ჯაპონ ტაიმს“-ი ამის თაობაზე სწერს: იაპონიის მთავრობას საწინააღმდეგო არა აქვს რა, თუ ჩინეთი ომში ჩაერევა, მხოლოდ მოკავშირეებმა იაპონიის ბატონობა უნდა აღიარონ აღმოსავლეთ აზიაში. არც ჩინეთია ამისი წინააღმდეგი. თუ ჩინეთი გერმანეთის წინააღმდეგ მართლა ჩაერია ომში, მაშინ იგი გერმანეთს აღარ გადაუხდის 1915 წელს მაქსერების აჯანყების გამო გერმანეთის და ავსტრიის მიერ კონტრიბუციად დაკისრებულ 141 მილიონ დოლლარს (282 მილიონ მანათს). ამავე დროს გაუქმდება ხანკოუსა და ტიანძინში გერმანელების კონცესიები და გერმანეთთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულებაც დაირღვევა.

რუსეთისათვისაც დიდად ხელსაყრელი იქნება ჩინეთის ჩარევა, რადგანაც მაშინ მას შეუძლიან თავისუფლად გამოიყენოს დალნისა (დაირენი) და ტიანძინის ნავთსადგურები, საიდანაც ქარავნების გზავნა შეიძლება პეკინზე და კალგანზე ციმბირის რკინის გზამდე.

ამ ბოლო დროს მოკავშირენი ჩინეთის მთავრობას დაბეჯითებით ურჩევენ, ისარგებლოს დღევანდელის გარემოებით და გერმანეთს ომი გამოუცხადოსო.

ვერდენის წლის თავი

8 თებერვალს 1 წელიწადი შესრულდა მას მერე, რაც გერმანელებმა ვერდენს შეუტიეს. „რ. ს.“ პარიზელი თანამშრომელი ა. ვერნერი ამის გამო იწერება: ვერდენთან ბრძოლა მარნასთან გამარჯვებას აღემატებოდა. ვერდენთან ისეთი საშინელი ბრძოლა იყო, რომ რამდენიმე ათიოდე ვერსის ხაზზე დღეში მილიონობით ყუმბარა სკდებოდა. ამ ცეცხლის წვიმისათვის უნდა გაეძლო საფრანგეთის ჯარს.

ეხლა, როდესაც გერმანელები კვლავ აპირებენ საფრანგეთის ასპარეზზე მედგარი შემოტევის განახლებას, მდგომარეობა უფრო ხელსაყრელია ფრანგებისათვის, რადგანაც ჯერი ინგლისის ჯარზეა. ინგლისელებს ეხლა 160 ვერსის სიგრძეზე უდგათ თავისი ჯარი იპრიდან პერონ-მდე. მტრის მედგარ შემოტევას ფრანგები და ინგლისელები რიგ-რიგად მოიგერიებენ; ამით მოკავშირეებსაც გასაქანს მისცემენ მტერზე საერთო იერიშის მისატანადაო.

წყალქვეშ ბრძოლის შედეგი.

ამერიკულ სააგენტოს „United Press“-ის თანამშრომელს ფორსტერს საფრანგეთის საზღვაო მინისტრ ადმირალ ლაკაზთან უსაუბრია. მინისტრს უთქვამს: გერმანელების გარემოცვა საფრანგეთს და იტალიას ბევრს ვერაფერს ავნებს. გარემოცვას შეუძლიან ჩვენი ტრანსპორტის მიმოსვლა ერთგვარად შეაფერხოს, მაგრამ მის სრულს შეჩერებას კი ვერ მოახერხებსო. მტერს შეუძლიან სურსათ-სანოვაგის თუნდაც ერთი მესამედი დაგვიღუპოს, მაგრამ ეს რა საგრძნობი დანაკლისია. უკიდურეს შემთხვევაში მშვიდობიან მოსახლეობას შევუმცირებთ დღიურ ულუფასაც, რათა ჯარი უზრუნველ ვყოთ. გერმანელებს არც ისე ბევრი წყალქვეშები აქვთ, როგორც თვითონ ავრცელებენ. საბოლოოდ გამარჯვება იმას დარჩება, ვინც უფრო მეტს სულგრძელობას გამოიჩენს ერთს თვეს, ერთს დღეს, თუნდაც მის ერთს საათსაო.

გერმანეთი

„Jaqlische Rundschau“ იტყობინება: მთავრობამ გადასწყვიტა, კერძო მენავეებს 1 მილიარდი მარკა სუფსიდიად მისცეს, რათა დაღუპულთა ნაცვლად ახალი გემი ააგონ.

უკანასკნელი ცნობები

ამერიკაში ბრაიანის მეთაურობით პაციფისტები დიდს აგიტაციას ეწევიან მშვიდობიანობის დასაცავად.

—

ჩინეთის დიდი მოხელენი ომში ჩარევის მომხრენი არიან. პარლამენტის წევრები გერმანელებმა მოისყიდეს.

—

„მატენის“ კორესპონდენტი იტყობინება: გერმანელებს ქარხნებში გაცხარებული მუშაობა აქვთ. ამზადებენ 77, 105, 210 მილიმეტრიან ყუმბარებს. ეს იმის მომასწავებელია, რომ გაზაფხულზე გერმანელები მაგრულ ბრძოლას დაიწყებენო. დაზიანებულ ზარბაზნებს ფრონტზედვე აკეთებენ.

—

ათინაში ხელახლად აღელვებული მდგომარეობა სუფევს. გერმანეთის მომხრენი ვენიზელოსის მომხრეებს აწიოკებენ. ვენიზელოსის შეძრწუნებულნი მომხრენი გარბიან და მოკავშირეთა ფლოტს თავს აფარებენ.

—

ირლანდიაში სასტიკი ჩხრეკაა. დააპატიმრეს რამდენიმე ირლანდიელი მწერალი.

—

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: პირველად მოხდა წლიური კრება გერმანეთის სოფლის მეურნეთა. ჩვეულებრივ ეს კრება მრავალრიცხოვანი არ ყოფილა. შეიკრიფა სულ 100 წარმომადგენელი. თავმჯდომარემ ვანგენჰაიმმა წარმოსთქვა საბრძოლველი სიტყვა და წინადადება მისცა გამოეტანათ რეზოლუცია, რომლით ვილჰელმს მადლობას უძღვნიან.

—

9 თებერვლის „ნოვოე ვრემია“ დაიჭირეს.

—

ინგლისში პოლიციელების თანამდებობას თითქმის ყველგან ქალები ასრულებენ.

—

ინგლისი აცხადებს, ტყუილია ის ხმა, ვითომც ინგლის სწადდეს ზავის ჩამოგდების შემდეგ რუსეთში გაბატონდეს და ის მდგომარეობა დაიჭიროს, რა მდგომარეობაც გერმანეთს ეჭირა ომამდე.

—

სახელმწიფო საბჭოს წევრს თ-დს შირინსკი-შიხმატოვს უმაღლესად გამოეცხადა, რომ მას მიენდო შელავათიანების გადასინჯვა და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლება და აგრეთვე რეკვიზიციის მოხდენა.

ახალი ამბავი

◆ **კახეთის მეფეთა სურათი.** ფრესკების გამოფენაზე გუშინ მოიტანეს ძველი ასლი, ძველ ათონის ფილოთეოსის მონასტრის ფრესკებიდან გადმოღებული (უსახელო მხატვარის მიერ). ასლზე დახატულია კახეთის მეფე ლევანი და ძე მისი ალექსანდრე, რომელნიც ამ მონასტრის განმაახლებლად ითვლებიან. ფრესკა დახატულა 1540 წელს. წარწერა აქვს ქართულად და ბერძნულად.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი სთხოვს, რომ იმ კერძო სკოლებში, რომლებიც დააარსა საქველმოქმედო საზოგადოებამ, სავსებით შესრულებულ იქნას 1914 წლის 1 ივლისის განონის ძალით გამოცემული დადგენილებანი კერძო სასწავლებლების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლები დაიხურებაო.

საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას ძალიან აოცებს ზემოდმოყვანილი მოწერილობის შინაარსი, რადგან საზოგადოების სკოლებში შესრულებული და დაცულია ყოველგვარი მოთხოვნილება კანონისა და ეს სკოლები დაარსებულია 1914 წლის 1 მკათათვის კანონის თანახმად.

◆ **ჩამოვიდნენ:** პეტროგრადიდან გორის ეპისკოპოსი ანტონი და ბათომიდან ქალაქის თავი ევგ. კრინცკი.

◆ **1919 წელს ჯარში გასაწვევ** ყმაწვილ კაცთა გაწვევა თბ. მაზრაში გათავდა. 15 თებერვალს შეუდგნენ ბორჩალოს მაზრიდან გაწვევას.

◆ **მახალა ერობის შესახებ.** რედაქციას მოუვიდა მეფის ნაცვლის კანცელარიისაგან კანონ-პროექტი კავკასიის ერობის შესახებ.

◆ **საეკლესიო ფრესკების** გამოფენა იხურება კვირას, 19 თებერვალს. ამ დღისათვის განზრახული ლექცია ექვთ. თაყაიშვილის წაკითხულ არ იქნება დიდმარხვის პირველ კვირის გამო.

◆ **პეტროგრადის უნივერსიტეტის** პროფესორთა საბჭომ დაადგინა სახალხო განათლების მინისტრსა სთხოვოს განკარგულების მოხდენა, რომ პეტროგრადის უნივერსიტეტში სტუდენტები ყველა სამოსწავლო ოლქებიდან იქმნენ მიღებულნი.

◆ **კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი** პეტროგრადში მიუწვევიათ ქართულ ეკლესიაში მგალობელთა გუნდის მოსაწყობად.

◆ **იაპონელი მგოსანი.** მოსკოვში ამ ჟამად პოეტ ბალმონტთან იმყოფება გამოჩენილი იაპონელი მგოსანი, რომელსაც აზრადა აქვს გაზაფხულზე საქართველოში ჩამოვიდეს და ქართულ პოეზიას დაახლოვებით გაეცნოს. ჯერ ჩამოვა თბილისში და აქედან მერე ქუთაისს ესტუმრება.

◆ **დამფუძნებელი კრება.** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თბილისის განყოფილების დამფუძნებელი კრება, რომელიც წარსულ კვირას არ შესდგა და მომავალ კვირისათვის (19 თებერვალი) გადაიდვა, მოხდება „ახალი კლუბი“-ს დარბაზში. კრება დაიწყება დღის 12 საათზე.

◆ **ქალაქთა კავშირის** თბილისის კომიტეტი 50.000 მანეთს სთხოვს კავშირს ლაზარეთების ხარჯების დასაფარავად.

◆ **სოდის აღმოჩენა.** ძველი სემინარიის ეზოში მოთავსებულ ერთ-ერთ ქოხში პოლიციამ აღმოაჩინა 40 ფუთი სოდა. საქონელი პატრონს ჩამოართვეს საპნის ქარხნის საჭიროებისათვის.

◆ **საბოსტნე ადგილი.** გორის ქალაქის თვითმართველობამ ადგილობრივ ლაზარეთს დაუთმო ბოსტნის გასაშენებლად 5 დესეტინა ადგილი. ვინაიდან მუშა ხელი ადგილობრივ არ მოიპოვება, ლაზარეთის ადმინისტრაცია მთავრობის წინაშე შუამდგომლობს გაუგზავნოს ბოსტნის დასამუშავებლად ტყვე თურქები.

◆ **პურის გაძვირება.** ჩრდილო კავკასიაში და საერთოდ რუსეთში იანვარშივე გაძვირებულა ფქვილი, იგრეთ წოდებულ „მტკიცე ფასებს“ მოუმატნია მაგალითად, ფუთი ფქვილი წინად ფასობდა 2—40 კაპ, იანვარში-კი ფუთზე დაუწესებიათ 3—09 კ., თბილის ქალაქის გამგეობამ-კი ეს ამბავი ეხლა გაიგო. გუშინ ქალაქის მეპურეები შეგროვილი იყვნენ ქალაქის გამგეობაში ფქვილის წასაღებად, მაგრამ აწეულ ფასებში ფქვილის წაღებას არ აპირობდნენ. ჯერ გამომცხვარ პურზე ნიხრი ასწიეთ და შემდეგ წავიღებთ ფქვილსო,—ამბობდნენ მეპურეები. ამ რიგად პურის საკითხი გართულდა: ჯერ ერთი, რომ გამომცხვარი პურის ფასი უნდა გადიდდეს, მეორეც ის, რომ ნიხრის გადიდება დროს თხოულობს, მაშინ, როდესაც პური ყოველ წუთშია საჭირო.

◆ **რამდენიმე ვაგონი ფქვილი,** ბოლო დროს მოსული თბილისში, ყოვლად უვარგისი გამოდგარა. ეს ფქვილი დამპალი და მწარეა, მაგრამ გარდა ამისა ფქვილში ყველაფერია არეული, სხვათა შორის, კირიც. ნასყიდია ჩრდილო კავკასიაში ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლის მიერ, მოსულია ქალაქის გამგეობის სახელზე, გამგეობის მიერ დარიგებულია კოოპერატივებზე, ხოლო უკანასკნელთაგან გაყიდულია მეპურეებზე. მცხოვრებლები ესაყვედურებიან მეპურეებს, პოლიცია თავის მხრივ ოქმს უდგენს მეპურეთ, მაშინ როდესაც თავი და თავი ბრალი ფქვილის მყიდველს უნდა ედებოდეს.

◆ **ქურდობა.** ათ თებერვალს ვორონინოვის ქუჩაზე არნოლდ გავისტისგან წაიღეს 80 მანეთი და 500 მანეთის საქონელი. 10 თებერვალს გაქურდეს ანდრონიკოვის ქუჩაზე მცხოვრები მიკირტიჩ ტერ-ზახაროვი, წაიღეს 5000

მანეთის ოქრო ვერცხლეულობა. 10 თებერვალს ტრამვაიში 1500 მანეთი ამოაცალეს ჯიბიდან კაპიტან ილია ეზოვს. 11 თებერვალს ტრამვაიში 175 მანეთი მოჰპარეს ლეიტენანტ ნიკოლოზ ტასკოვსკის. 10 თებერვალს გაქურდეს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე მცხოვრები ნიკოლოზ პაპიაშვილი, მოჰპარეს 700 მანეთის ნივთეულობა, 11 თებერვალს საეკლესიო ქუჩაზე ნინა სოკოლოვას მოჰპარეს 500 მანეთის ნივთეულობა. 10 თებერვალს დუქანი გაუტეხეს ოქრომჭედელს დ. იბრაგიმოვს და მოჰპარეს 1800 მანეთის ნივთეულობა. 12 თებერვალს ავლაბრის ქუჩაზე მიხეილ ოვანესოვს მოჰპარეს 150 მანეთის ნივთეულობა. 11 თებერვალს 13 თებერვლის ქუჩაზე ეფროსინე კურბანნის მოჰპარეს 500 მანეთი და 548 მანეთის ნივთეულობა.

✦ **ვაშლის მაზანდა.** „ქართლის" ამხანაგობის ცნობით, 14-12 თებერვალს თბილისის ბაზარზედ ვაშლის ფასი იყო: თეთრი კალვილი ფუთი 85 მან —25 მან; შამპანური რენეტი ფუთი 25 მან. 14 მან.; წითელი კალვილი ფუთი 18 მან.—10 მან; კანადური რენეტი ფუთი 18 მან.—12 მან.; ბელფლორი ფუთი 20 მან.—15 მან.; ბანანი ზამთრისა ფუთი 25 მ.—15 მან.; ყირიმის ვაშლი ფუთი 17 მ. —15 მან; სხვა და სხვა ვაშლი 12 მ. —10 მ.—5 მან.

ფორთოხლის მაზანდა. ამავე ამხანაგობის ცნობით, ფორთოხალი ფასობდა ასი 20 მან—12—მან.

ქუთაისი.

იოსებ კემულარიას თაოსნობით გაიხსნა საიმპერატორო სამუსიკო სა-ბის ქუთაისის განყოფილება. დირექტორებად დამტკიცებულნი არიან: ბარბალე მაჭავარიანისა, აბეს. ჩარკვიანი, ო. კოტილევსკი, ს. ხეჩინოვი და ი. კემულარია. ქალაქის თეატრში კონცერტის გამართვას აპირებენ სა—ბის საშუალებათა გასაძლიერებლად.

— ქალაქის გამგეობა მოელის 100 ვაგონ თეთრ პურის ფქვილს.

— ქუთაისის ოლქის სასამართლოში უფროს ნოტარიუსად ინიშნება მომრიგებელი მოსამართლე ანტონ ხაბურზანია.

— ამ ჟამად ქუთაისში 40 ვაგონი შაქარია.

ხონი.

ხონის გიმნაზიისათვის მიმდინარე წელს ხაზინამ გადასდვა 9130 მანეთი.

გორი.

სოფ. ძეგვის მცხოვრებს მარტია გორგაძეს სახლი გაუტეხეს და წაიღეს 800 მან. ფულად და 600 მანეთის ნივთეულობა.

სიღნაღი.

სიღნაღის მაზრის კოოპერატივთა ბიუროს მოუვიდა 64 ვაგონი ფქვილი და კოოპერატივებს დაუნაწილა. ამ დღეებში 15 ვაგონს კიდევ მოელიან.

სამტრედია.

გაიხსნა საფოსტო-სატელეგრაფო კურსები. ბევრი აღმოჩნდა შიგ შესვლის მსურველი.

—

შეცდომათა გასწორება

„საქართველოს" გუშინდელ (№ 36) ნომერში შემოწირულებათა სიაში შეცდომაა. არის: მიხ. ჯავახიშვილისაგან მეჩეთის სასარგებლოთ. უნდა იყოს ქაქუთის (გურიაში) მეჩეთის.

საუბარი სატეხნიკო საკითხებზე [1]

I. ელექტრობა [2].

ერთხელ, ცნობილმა პროფესორმა ერიკ ჟერარმა, სადიპლომო გამოცდის დროს, თავის მოწაფეს ჰკითხა:

— მითხარით, თუ რა არის ელექტრობა?

მოსწავლემ, რომელსაც თავი დატვირთული ჰქონდა უურთულეს საკითხებით და სრულიად არ მოელოდა ასეთ მარტივ კითხვას, დარცხვენით უპასუხა:

-- ვიცოდი, ბატონო პროფესორო, მაგრამ დამავიწყდა.

— ეცადეთ გაიხსენოთ, მით უმეტეს, რომ აი, აგერ 30 წელია, ელექტრობის პროფესორად ვარ და აქამდის თვით მე ვერ გამიგია, თუ რა არის ელექტრობა,—ღიმილით უთხრა ჟერარმა.

ეს ანეგდოტური შემთხვევა მოვიტანეთ იმის დასანახველად, რომ მეცნიერებამ არ იცის ინტიმური ბუნება ამ საუცხოვო ძალისა. იციან მხოლოდ, რომ ელექტრობა არის ერთი ფორმათაგანი ენერგიისა, როგორიცაა, მაგალითად, სითბო, სინათლე.

თუ ელექტრობის ინტიმური ბუნება კიდევ საიდუმლოებას შეადგენს მეცნიერთათვის, სამაგიეროდ მისის ენერგიის თვისებანი ფართოდ არის გამოყენებული ინდუსტრიასა და ცხოვრებაში.

ძველ დროიდანვე ელექტრული მოვლენანი ადამიანთა ყურადღებას იქცევდნენ და ძველ დროის მეცნიერთ შენიშნული ჰქონდათ ელექტრული თვისებანი ელვისა, დაცდილი ჰქონდათ თვისება ქარვისა, რომელიც, ხეხვის შემდეგ, საიდუმლო ძალას იძენდა და შეეძლო რამდენისამე ხნის განმავლობაში მჩატე საგნები მიეზიდნა.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისამდე, ამ მდგომარეობაში იყო საელექტრო მეცნიერება, როდესაც ბერიკმა გამოიგონა პირველი ელექტრული სახეხი მანქანა, მაგრამ ელექტრული მეცნიერების წინამორბედად ამერიკელ ფრანკლინს (ტომით ფრანგს) სთვლიან. ფრანკლინის სახელია პირველი დიდი სახელი, ჩვენ ელექტრობის ისტორიაში რომ გვხვდება. მან ჩაუყარა საფუძველი ელექტრობის თეორიას და 1750 წელს ამცდენი მეხთამრიდი მოიგონა.

ფრანკლინის შემდეგ მთელი რიგი მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მუშაობს ელექტრობის საკითხების გამოსარკვევად: ვოლტა, ფარადეი, ამპერი, მორსი, გრამმი, პეტსტოუნი, ტომსონი ანუ ლორდ კელვინი, ტიური, კუკი და ბევრი სხვანი. აი ის პირნი, რომელთა მრავალმა გამოკვლევამ, აღმოჩენამ და გამოგონებამ ელექტრული მეცნიერება იმ ზომამდე მიიყვანა, რომ ჩვენს საუკუნეს „ელექტრობის საუკუნე" ეწოდა.

II. ელექტრულ ენერგიის წარმომშობი საშუალებანი.

ელექტრობის ენერგია, რომელიც ყოველდღიურად ინდუსტრიასა და ცხოვრებაში იხმარება, ორ საშუალებით წარმოიშობა:

ა) ბატარეებისა და

ბ) მანქანებისა.

ბატარეების საშუალებით შეიძლება მიღება მხოლოდ მცირე ელექტრო-მამოძრავებელ ძალისა და მათი გამოყენებაც განსაზღვრულია. ბატარეა ხმარებაშია განსაკუთრებით ელექტრულ ზარისათვის, ტელეფონის და ტელეგრაფისათვის, საერთოდ იმგვარ მოთხოვნილებისათვის, სადაც დიდი ელექტრო-მამოძრავებელი ძალა არ არის საჭირო.

როდესაც ჩვენ გვინდა სახლები და ქუჩები გავანათოთ, ტრამვაი ვამოძრაოთ, ელექტრული ქუჩები გავახუროთ და სახელოსნოებსა და ქარხნებში მთელი რიგი დაზგებისა ავამუშაოთ, მაშინ ინდუქციის პრინციპზე დამყარებულს ელექტრულ მანქანას მივმართავთ ხოლმე. ელექტრული ინდუქტიური მანქანა ბევრგვარია; მათს შორის ორი დიდი კატეგორია არსებობს: ა) დინამო—მუდმივ დენისა და ბ) დინამო—ცვალებრივის დენისა.

პირველს მდაბიურად დინამოს ეძახიან და მეორეს ალტერნატორს.

თვით სახელწოდება გვიჩვენებს, რომ ისინი ჰქმნიან ორნაირ დენას: მუდმივს და ცვალებრივს, ორსავეს თავისი შესაფერი გამოყენება აქვს ინდუსტრიაში.

ამგვარ ელექტრულ მანქანების საშუალებით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ გაცილებით უფრო მძლავრი ელექტრული ენერგია, ვიდრე ბატარეების საშუალებით.

ელექტრული ბატარეა და მანქანა არის მხოლოდ აპარატი ანუ საშუალება, რომელიც ენერგიის ერთგვარ ფორმას ელექტრიულ ენერგიად გარდაქმნის ისე, როგორც ნახშირი დაწვის დროს სითბოს გვაძლევს, ეგრეთვე ბატარეა ცინკის დაშლით და გაცვეთით გვაძლევს ელექტრულ ენერგიას. ამ შემთხვევაში ქიმიური ფორმა ენერგიისა ელექტრულ ენერგიის ფორმას იღებს. ბატარეას ენერგიით ქიმიური რეაქცია ასაზრდოებს, ელექტრულ მანქანას კი მექანიკური ძალა სჭირია სამოძრაოთ.

ძველ დროში მექანიკურ მამოძრავებელ ძალად კაცის ან ცხენის ძალას ხმარობდენ. ორთქლის მანქანის გამოგონების შემდეგ ადამიანის და ცხენის ადგილი მანქანამ დაიკავა. იმისთვისაა, რომ ეხლაც მანქანების სიძლიერის საზომი ერთეული ცხენის ძალაა. პირველ ორთქლის მანქანა უატისა, დღეში იმდენ მუშაობას ასრულებდა, რამდენსაც ათი ცხენი უნდებოდა წინათ და მაშინ ეგრე იტყოდნენ: „ამ მანქანის სიძლიერე ათი ცხენის ძალას უდრისო", აქედან შემოვიდა ხმარებაში ცხენის ძალა, როგორც ზომის ერთეული. შემდგომ სხვა ბევრი ტერმიული მანქანები იყო გამოგონილი: ნავთის, გაზისა და სხვ.

ყველა ტერმიულ მანქანას მუდმივი საწვავი მასალა სჭირია. როგორც ადამიანს ესაჭიროება სანოვაგე, რომ გაცვეთილი უჯრედები განაახლოს და სამოძრავებელი ძალა შეიძინოს, ეგრეთვე ტერმიულ მანქანას სამოძრაოდ საწვავი მასალა ესაჭიროება.

გ. ჯანელიძე.

(დასასრული იქნება)

---

[1] ამგვარ საკითხების გაზეთის ფურცლებზე გამორკვევა, მართალია, ერთგვარ უხერხულობას წარმოადგენს, მაგრამ სამისო სატეხნიკო და საეკონომიო ჟურნალები ჩვენ არ მოგვეპოება და ჩვენი საზოგადოება სატეხნიკო და საეკონომიო ცოდნის დიდს სიმშილს განიცდის. რედაქცია დარწმუნებულია, რომ ასეთს საკითხებზე წერილებს მკითხველი საზოგადოება ყურადღებით ეკიდება.

[2] ჩვენში აქამომდე მიღებული ტერმინი „ელექტრონი" არ გამოხატავს მცნებას—éléctricité. უფრო შეფერებულად მიგვაჩნია ელექტრობა.

გ. ჯ.

სახელმწიფო სათათბირო

(14 თებერვლის სხდომის გაგრძელება).

მიწად მოქმედების მინისტრის რიტიხის გრძელი და ფაქტებით დატვირთული სიტყვის შემდეგ, სათათბიროს სხდომა შესწყდა შესასვენებლათ. 4 საათსა და 3 წუთზე სხდომა განახლდა როძიანკოსავე თავმჯდომარეობით. რიტიხის განცხადების განხილვა სხვა დროისთვის გადაიდვა. სიტყვა მიეცა **შიდლოვსკი პირველს.**

ორატორი აღნიშნავს, რომ ქვეყნისა და ჯარის გამოკვების საქმე, ტრანსპორტისა, სანოვაგის და გათბობის საკითხები ერთიანად დაკავშირებულია მთავრობის ღირსება-ნაკლულევანებაზე, იმაზედ, თუ ვინ და ვინ შეადგენს მთავრობას და რანაირი იქნება მთელი მთავრობის კურსი. ამიტომაც, ორატორის აზრით, სახელმწ. სათათბირომ, უწინარეს ყოვლისა, მთავრობაზედ და მის შემადგენლობის შეცვლა გარდაქმნაზე უნდა იქონიოს მსჯელობაო. ამის შემდეგ ორატორი აქვეყნებს განცხადებას ბლოკის სახელით, რომელშიაც შედიან: პროგრესიული ნაციონალისტები, ცენტრი, ერობისტ-ოქტიაბრისტები, 17 ოქტომბრის სახელმწიფო ჯგუფისა და სახალხო თავისუფლების კავშირი. განცხადებაში ნათქვამია: ორ ნახევარ წლის ომის განმავლობაში, ყველა მეომარ სახელმწიფოსთვის ნათლად გამოირკვა, რომ ომი ისეთ ავტორიტეტს და ძალას მოითხოვს სახელმწიფო ხელმწიფებისაგან, რომ ამ უკანასკნელს შეეძლოს ცხოვრებაში ისეთი ზომები გაეყვანოს, რომლებიც მის სიღრმეს ჩასწვდებოდეს და შეანძრევდეს. რომ ხელმწიფებას მართლაც ასეთი ავტორიტეტი ჰქონდეს, უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ ისინი, ვინც ქვეყანას განაგებენ, თვით ერისაგან ცნობილი და აღიარებული ბელადები იყვნენ, შემდეგ საჭიროა, რომ ესენი ურთიერთ შორის გაერთიანებულნი იყვნენ მართვა-გამგეობის მორიგ საკითხების გაგებისა და განცდის საქმეში. დასასრულ, საჭიროა, რომ ესრეთი გაგება და განცდა საკანონმდებლო დაწესებულებათა მხრივაც იქმნას მოწონებული. ამ მიზნის მისაღწევად—ქვეყანასთან ერთად ძლიერ და ერთობილ ხელმწიფების შესაქმნელად—ჩვენი მოკავშირენი ისეთ ღონისძიების წინაშეც არ შედრკნენ, რომელიც აღმასრულებელ ხელმწიფების ორგანოებისა და სისტემას ძირითად გარდაქმნას იწვევდა და ამ საქმეში რამოდენიმე მსხვერპლად შესწირეს კიდეც ბევრი, საუკუნეებით განმტკიცებული წესები სახელმწიფოს მართვისა.

ამან ხელი შეუწყო შექმნათ სამხედრო დროის პირობების შესაფერი ხელმწიფება, რომელსაც არა შიშით, არამედ თვისი სინდისით დაემორჩილება ყოველი მოქალაქე იმ რწმენით, რომ ტანჯვასა და მსხვერპლს გამარჯვება მოჰყვება, განმტკიცდება ბრწყინვალე მომავალი და მთელი ეროვნული ცხოვრება განახლდება. ჩვენდა სამწუხაროდ, სულ სხვა რასმე ვხედავთ მარტოდ-მარტო ჩვენს სამშობლოში. მთელი ომის განმავლობაში მინისტრის თანამდებობაზე ძალიან ხშირად ისეთი პირები ინიშნებოდნენ, რომელნიც ქვეყნისთვის უცნობნი იყვნენ, მასში ნდობას არ იწვევდნენ, ერთმანეთს არ ეთანხმებოდნენ, არ იდგნენ იმის სიმაღლეზედ, რომ გაეგოთ დღევანდელ მომენტის რთული და მნიშვნელოვანი პრობლემები და არც უნარი შესწევდათ თანხმობით ემუშავნათ საკანონმდებლო დაწესებულებებთან. და ხშირი გამოცვლა მაღალ თანამდებობის პირთა, რომელიც ამის გამო აუცილებელი იყო, შეუძლებელს ხდიდა, რომ მთავრობას სერიოზულად გაეფიქრა საჭირო პოლიტიკა და შემდეგ იგი თანდათანობით [illegible] ცხოვრებაში გაეტარებინა. ამ მუდამ [illegible] მოსდგა მართვა-გამგეობის 5—7 [illegible] რომელმაც მეტად

№ 4.

სამწუხარო და უაღრესად სახიფათო ამბები დაატრიალა, ქვეყნისა და ჯარისთვის საკვებ-სანოვაგისა და საწვავი მასალის შოვნა-მიწოდების საქმეში. უაღრეს მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ ფუნქციების უმწვავესად გამოთქმულმა დაშლამ მთელ ქვეყანაში შფოთი და დრტვინვა გამოიწვია, ვაი თუ გაწეული მსხვერპლი სათანადოდ არ იყოს გამოყენებული იმ პირთაგან, ვისაც მართვა-გამგეობის ბედ-იღბალი აბარიაო და მიზნის მიღწევა შეუძლებელის სფეროში დარჩესო. ამგვარად, ქვეყანას ვერ წარმოუდგენია საკვებსანოვაგის მოგვარების საკითხი ისე, თუ წინასწარ არ გადასწყდა აღმასრულებელ ხელმწიფების გარდაქმნის საქმე იმ საფუძვლის მიხედვით, რაიც არა ერთხელ იყო დასახელებული საკანონმდებლო დაწესებულებებისაგან, თუმცა უნაყოფოდ და უქმად. ჩვენ ამ განცხადების ხელის მომწერნი ამით ვეკითხებით მინისტრებს, რომელთადმი არის მიმართული დღევანდელ სხდომის უწყებაში აღნიშნული საქმეები, თუ რა ღონისძიება იქნება მიღებული ზემო აღნიშნულ ყოვლად აუტანელ მდგომარეობის გასაქრობად, ამასთანავე ვსთხოვთ სახელმწიფო სათათბიროს დაუყონებლივ შეუდგეს ამ განცხადების განხილვას. ხმის უმეტესობით სათათბირო შეუდგა განცხადების განხილვას.

ამის შემდეგ, სიტყვას ამბობს დეპუტატი **ჩხეიძე.** იგი აღნიშნავს, რომ მისთვის მოულოდნელი იყო მოხსენებული განცხადება. ორატორი ამბობს, დროა სათათბირომ პედაგოგიას თავი დაანებოს და შეიგნოს, რომ დარიგებით და ჭკუის სწავლებით ვერაფერს გახდება. ჩვენ უნდა მივყვეთ ჩვენ მოკავშირე ფრანგების წინაპართა იმ გზას, რომელსაც ისინი ადგნენ მე-XVIII საუკუნის დასასრულში.

ჩხეიძის შემდეგ—დეპუტატი **პურიშკევიჩი.** დეპუტატი უპასუხებს მიწადმოქმედების მინისტრს, და განმარტავს, თუ რატომ იქმნა შეუძლებელი მთავრობისა და სათათბიროს თანამშრომლობა. ორატორის აზრით, მთავრობა გერმანიის სასარგებლოდ იღწვის და ასეთ ანტინაციონალურ მთავრობასთან საერთო გზა შეუძლებელი არისო. შემდეგ ორატორი მკაცრად ეხება სათითაოდ ყოველს მინისტრს, განსაკუთრებით პროტოპოპოვს.

დეპუტატი **ეფრემოვი** ამბობს, პროგრესისტები ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ მთავარი საფრთხე რუსეთისთვის მის ძველ წესწყობილებაში იყო და, რომ საჭირო იყო არა კერძო პირების გამოცვლა, არამედ მთელი წესწყობილებისა. რუსეთმა გაითვალისწინა და დაინახა ის გაუვალი უფსკრული, რომელიც მთავრობასა და ხალხს შორის გაითხარაო. თუ ხსნა და შველა გვიწერია, ამას სათათბიროს წინაშე პასუხის მგებელი მთავრობა მოგვანიჭებსო.

სხდომაზედ წაიკითხეს ცნობა რუმინეთის ელჩისა, რის შემდეგ 14 თებერვლის სხდომა დაიხურა.

პატარა ფელეტონი

მსოფლიო სულის ამონაკვნესი

ნეაპოლის ყურეში გემი შევიდა. მოგზაურნი კაიუტებიდან ბანზე გამოშლილიყვნენ და ცნობის მოყვარეობით უცქეროდნენ ვეზუვისა. მთა ჩვეულებისამებრ ბოლავდა. ძაბრის [illegible] ამონადენი კვამლი ნიავისაგან წელში იხრებოდა და შორს სივრცეში ილეოდა.

— სწორედ რომ ნამდვილი ბუხარია!—წამოიძახა ერთმა ახალგაზდა მოგზაურმა.—მთის გულში ვინმე ბოროტი გრძნეული მოკალათებულა და გამუდმებით უკეთებს შეშასა. ალბად ქვეყნიერებისათვის თუ შხამს ამზადებს. მაგ გაავეშვებულ ხორცმეტისაგან დედამიწას, მგონი, არაფერი სიკეთე ახსოვს-რა.

ამ ორიოდე სიტყვამ დიდი ბაასი გამოიწვია. ყველამ თითო რამე სთქვა ცეცხლის მფრქვეველ მთაზე.

— მე კი, იცით, რა გამიგია ცეცხლის მთაზე?—სთქვა ერთმა მოგზაურმა, რომელსაც თავი ჭაღარითა ჰქონდა დაგვირგვინებული.

მოხუცი იშვიათად თუ ამოიღებდა ხოლმე ხმასა, თორემ ისე სულ ჩუმად იყო და სახეზე მუდამ ფიქრთა საბურველი ჰქონდა ჩამოფარებული. ყველანი უნებლიეთ მოწიწებით ეპყრობოდნენ. როცა მოხუცი რაიმეს თქმას დააპირებდა, თეთრსა და ფართო შუბლზე შეფენილი ნაოჭები ეშლებოდა, პირისახე უშუქდებოდა და ადამიანის გულს ანდამატივით იზიდავდა. გარშემო მყოფნი სდუმდებოდნენ და გაფაციცებით თვალყურს ადევნებდნენ.

ეხლაც წამოილაპარაკა თუ არა მოხუცმა, წამსვე სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი სმენად გადაიქცნენ.

მოხუცმა დაიწყო: მსოფლიო სულმა ქვენაარის გაცნობა მოინდომა.

— გამიშვი, წავიდე, ვნახო!—შესთხოვა ზენაარსა.

— ნუ გინდა!—გაიგონა პასუხად.—წახვალ და ისევ მოინდომებ ჩემთან ამოსვლას: ვეღარ მოახერხებ.. ნუ გინდა!

— გამიშვი, წავიდე, ვნახო!—გაიმეორა კიდევ მსოფლიო სულმა.

— რაკი არ იშლი.. წადი! თუ გაგიჭირდეს ამოიკვნესე; თუ გავიგონე დაგეხმარები.

მსოფლიო სულმა დასტოვა ზენაარი და ქვენაარს ეწვია.

სტუმარმა მასპინძელი და მასპინძლის სამფლობელო ახლოს რომ ნახა, არ მოიწონა.

— არა! მე აქ ვერ დავდგები!—წამოიძახა ზიზღით.—აქ დრო და სივრცეა! ეს ჩემთვის ბორკილები იქნება!.. ისევ ზენაართან უნდა დავბრუნდე.

წასვლა დააპირა.

— ჩემთან მოსული ჩემთან უნდა დარჩეს!—სთქვა მკვახედ ქვენაარმა და უკადრისი სტუმარი იმ უზარმაზარ ციხეში ჩააგდო, დედამიწას რომ ეძახიან.

ტყვეს ძლიერი ოხვრა აღმოხდა გულიდან და დედამიწის კედლები უფსკრულ ნაპრალებით დაისერა. ამოოხვრას თან მწარე ამონაკვნესნი ამოჰყვნენ და ზევითკენ გაეშურნენ: ზენაარისთვის დაპატიმრებულის ამბავი უნდა ეცნობებინათ.

— სად წამიხვალთ, სად?!—მიაძახა ქვენაარმა და ყველანი კალთაში მოიმწყვდია; ზედ უშველებელი მთები გადახურა.

ამონაკვნესნი ცრემლებად იქცნენ და მთების მკერდზე ნაკადულებმა გადმოხეთქეს. ცრემლთა ღვარები უფსკრულებისაკენ გადაეშვნენ და დედამიწის ზურგს ზღვებად მოედვნენ. ზღვები აღელდნენ და ზენაარისაკენ ტალღების სროლა დაიწყეს.

— წადით, აცნობეთ! წადით, აცნობეთ!—ჩუხრუხებდნენ მაღლა შესროლილთ გამძვინვარებულნი ცრემლთა სავანენი.

მაგრამ ტალღები ისევ ძველ ბინას უბრუნდებოდნენ და ზღვანი, სასოწარკვეთილნი, პირიდან უძლურების ქაფებს ანთხევდნენ.

მსოფლიო სულმა მეორედ ამოიოხრა და ამოოხვრას ამონაკვნესნი კვლავ ამოაყოლა.

— არც თქვენ დაგაყრით სიკეთეს!—უთხრა ქვენაარმა თავის ტყვეს ახალ შიკრიკებს და ყველანი მცენარეებში გამოამწყვდია.

ბალახნი სევდამ შეიპყრო და აბიბინა, ხეები მაღლა-მაღლა წავიდნენ და, რაკი ზენაარს ვერ მიაწიეს, მწუხარებით შრიალი შექნეს.

მსოფლიო სულმა მესამედ ამოიხრა. ამოოხვრას კიდევ ამოჰყვნენ ამონაკვნესნი.

— თქვენ უარესს დაგმართებთ!—დაემუქრა ქვენაარი მესამე ამონაკვნესთ და თვითეული მათგანი მოძრავ სახეში გამოამწყვდია. დედამიწის ზურგს ცოცხალი არსებანი მოეფინნენ. ყველამ მაღლა აღაპყრო თვალნი: ზენაარის ნახვის სურვილმა გაიტაცა. მაგრამ ქვენაარის ნაშობნი დედამიწას ვერ მოშორდნენ და ქვეყნიერება გოდებით აავსეს.

მსოფლიო სულმა ძალა მოიკრიფა და მეოთხედაც ამოიოხრა, ზოგიერთი მთის მწვერვალი ამოხეთქა, და ამონაკვნესნი ახლა კი ცეცხლის სახით ამოცვივდნენ; მაღლა წავიდნენ, და ბრაზმორეულთ რაკი ზენაარს ვერ მიაწიეს, მთის მიდამონი გაანადგურეს.

მსოფლიო სული ყრუ გმინვას მიეცა და მთების მწვერვალთ ბოლვა იწყეს. მას აქეთ არის, რაც ეს ვეზუვიც ბოლავს.

კვამლიც თურმე მსოფლიო სულის ამონაკვნესებია...

— ნეაპოლს მივუახლოვდით!—აუწყა ხმამაღლივ მეზღვაურმა მოგზაურებს.

მოხუცმა ამბავი შესწყვიტა და ბარგის გამოსატანად გაეშურა. მსმენელნიც დაიშალნენ.

ინ-ბანი.

ეკონომიური ცხოვრება

ა. ი. მანთაშევი და კომპ. 7 თებერვალს შესდგა „ა. ი. მანთაშევის ნავთის წარმოების სააქციონერო საზოგადოების" კრება. ამოსარჩევი იყო უფროსი დირექტორი ნაცვლად გარდაცვლილის გუკასოვისა. კრებაზე აქციონერებმა წარმოადგინეს 66, 295 აქცია. აქედან პეტროგრადის საერთაშორისო ბანკმა 39,000 აქცია, რუსეთ-აზიის ბანკმა 17,634, ვ. ს. ზავოიკომ 2,780, [illegible] 1,550, ს. მ. ლიანოზოვმა 1,510, გ. ე. ტროცკიმ 1,430, პ. პ. ბატალინმა 1,450 და სხ. დირექტორად არჩეულ იქმნა ვ. ს. ზავოიკო, რომელსაც დაენიშნა წლიურ ჯამაგირად 30 ათასი მანეთი ტანტიემეს გარდა.

—

გერმანეთში არა მარტო პუბლიცისტები და მეცნიერნი, არამედ სახელმწიფო მოღვაწენი და ვაჭარ-მრეწველნი ამ ჟამად დიდად გართულან იმ საკითხის ძიებაში, თუ როგორ მოახდინოს გერმანეთმა ისეთივე მწყობრი მობილიზაცია ეკონომიური ძალებისა, როგორც მოახდინა მან სამხედრო ძალების გაერთიანება. ასეთი, ეკონომიური ცხოვრების გამაერთიანებელ ორგანიზაციის, ეგრეთ წოდებული „სამეურნეო შტაბის" დაარსება მიუცილებელ საჭიროებად მიაჩნიათ, რომ მით გერმანეთი ამ ომის შემდგომ ახლო მომავალში მოსალოდნელ ომისთვის ყოველ მხრივ მარაგად რომ იყოს.

—

კავკასიის წიფელა. ჩვენი ქვეყნის წიფლის ტყეები ამ ომის დროს დიდს ყურადღებას იქცევს. აქამომდე ჩვენში მხოლოდ ბაღდადის მახლობლად სწარმოებდა წიფლის ტყის დამუშავება ქ-ნ ალექსანდროვსკაის მამულში. აქ კეთდებოდა წლიურად 300.000 მდე კასრების პატარა ფიცრები, რომელსაც ხმარობენ ციმბირელი ერბოს გადასაზიდავ კასრების დასამზადებლად. ეხლა ასეთი ქარხანა არსდება ბორჯომში, დიდის მთავრის მამულში და სადახლოში (ბორჩალოს მაზრაში). ამ ომის დროს წიფელას თხოულობენ აგრეთვე საშპალედ სტრატეგიულ რკინის გზებისათვის.

—

გ. ნაკაიძემ, ვ. ქავჟანიძემ, ნ. შალამბერიძემ და ი. შკინდაძემ ნებართვა მიიღეს ს. მღვიმევში შორაპნის მაზრაში შავი ქვის წარმოების დასაწყებად.

ხევსურეთი და მისი სკოლები

(დასასრული)

ეხლა თუ გვინდა საქმის ხელახლად დაწყება, დავიწყოთ, მაგრამ ისე კი ნუ ვიზამთ, რომ ან ხუხულა გამოგვივიდეს უსაძირკვლო და ჩქარა ჩაიშალოს, ან მეტათ ფართო შენობა და სახურავი ვეღარ გადასწვდეს. დღეს წამოყენებულია ორი პროექტი. ერთი ეკუთვნის ქარ. საქველ. საზოგადოებას და მის მომხრეს ბ-ნს შ. ქარუმიძეს და მეორე—წერა-კითხვის თიანეთის განყოფილებას. პირველი თხოულობს, რომ გაიხსნას ს. ბარისახოში პროფესიონული სკოლა, მეორე ადასტურებს უბრალო სკოლას ს. როშკაში. ჩემის ღრმა დაკვირვებით და ადგილობრივ ვითარებათა ცნობით არცერთი ეს პროექტი სრული არ არის და არც დააკმაყოფილებს ხევსურთ საჭიროებას. როგორც როშკა ვერ აპურებს მთელს ხევსურეთს, ისე კიდევ ბარისახო. ერთიც და მეორეც საკუთარი ხეობებია, შემოკრული თავის გარშემო თოვლიან აყუდებულ მთებით, ესენიც ისე სწყდებიან ზამთრობით დანაშთენ ხეობებს, როგორც სხვა ხეობები. ძალიან ცოტა იმედი უნდა გვქონდეს, რომ შატილიდამ როშკაში ვინმე ბალღი მიიყვანოს, ან კიდევ არხოტიდამ ბარისახოში. ეს ხეობები ერთმანეთს ჰშორავენ 60 ვერსით და ზამთრობით ზვავებით მოწყვეტილნი არიან ერთურთს. მაშ, რა უნდა ვუყოთ და როგორ მოვიქცეთ?—ისევ ისე, როგორც დაწყობილი იყო. რომ იტყვიან, ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო, სწორედ აქ გამოგვადგება. ჩვენ უნდა გავხსნათ სკოლები უსათუოდ, სწორედ იმ ადგილებში, სადაც ბინადრობენ ხევსურეთის ღვდლები და გავხსნათ იმ შენობებში ჯერ-ჯერობით მაინც, რომელიც უკვე აშენებულია და თხოულობენ ჟამთა ვითარების გამო შეკეთებას. ნუ დაივიწყებთ, რომ ხევსურეთში არ მოიპოვება არც აგური, არც კირი, არც კრამიტი და არც ხის მასალა, არის მხოლოდ ლოდები და ნაშალი მიწა. იცოდეთ, რომ ეკლესიები და საკრებულო სახლები მთლად თუ არა, უმეტესად მაინც ხევსურის დედაკების ზურგით ჯურღმულიდან ნაზიდ ქვიშით არიან აშენებულნი, ჰკითხეთ ეს მაშინდელ ხევსურეთის ბოქაულს ი. ოზიაშვილს, თუ ჩემი არა გჯერათ. მამასადამე, ადგილი არ არის აქ ახალი შენობის აგება, ნამეტნავად ამ უკაცობის დროს.

კიდევ ვიმეორებ, რომ სკოლები უნდა გაიხსნას ს. ბარისახოში, ხახმატში, როშკაში, ბაცალიგოში, ახიელში, შატილში, არდოტში და ჯუთაში. იტყვიან, შენ პირს შაქარიო, ეგ ძალიან კარგიო, მაგრამ სად არის მაგისი შესანახი თანხაო? ჩვენ ორი ან ერთი სკოლა რომ გავხსნათ, ესეც გვეძნელებაო. არა, საქმე ესე არ არის და ნურც შეშინდებით. ის წყარო, რომელსაც თქვენ ასახელებთ ორის სკოლისთვის, სრულიად იკმარებს მთელის სკოლებისათვის, თუ თავმოყვარეობის ცრუმორწმუნეობას იქით გადავდებთ და საქმეს შევხედავთ ამერიკულად. ჩვენ უნდა ცოტა დავთესოთ და ბევრი მოვიყვანოთ,—ფაცხა იყოს, შიგ რამ იყოსო—ხომ გაგიგონიათ, ნუ გავშლით ფართოდ ლოგინს. ჩვენ საკუთარი შენობების აგებას და საკუთარი მასწავლებლების დანიშვნას თავი დავანებოთ, ამათ სირბილსაც და ბარად გადმოსვლას ვერც აუვალთ, მათ ბადლად დავნიშნოთ მღვდლები და ოთხ კლას დამთავრებული მედავითნეები და ვისარგებლოთ აგებული შენობებით. მე გამოცდილებით მოგახსენებთ, რომ იქ გამოგზავნილი საკუთარი მასწავლებელნი თუ არ ჩამოურჩებოდნენ ადგილობრივ მღვდლებს, მაინცადამაინც არაფრით ჰჯობდნენ. სასულიერო წოდება ჩვენ უარს არ გვეტყვის, არც საბუთი აქვს. უფრო ხელსაყრელიც არის, მღვდლები მეტად დაკმაყოფილებულნი იქნებიან და განუშორებელნიც. მესამედი იმ ჯამაგირისა, რომელიც უნდა მივცეთ საკუთარს მასწავლებელს, მივცეთ მღვდლებს. მაგ. 60 თუმნის მაგიერად (ეს ხომ უკანასკნელი იქნება) მივცეთ 20 თუმანი მღვდელს, სოფელი თავის მხრით მისცემს შეშას და მოსამსახურეს და მთელი ხევსურეთი ხელთ გვეჭირება. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ხევსურეთის მღვდლები არც ჰხვნენ, არცა სთიბავენ და არცა რასმე მკიან, სხედან და შეჰყურებენ, სად ვინ როდის მოკვდება (ეს, ღვთით, მთაში ისე ხშირი არ არის, როგორც ბარში), ან მოსანათლი იქნება, ჯვარის წერა ხომ იმათ აგრერიგად არც უყვართ და არც იციან. მოცლილი დრო საკმაოდ აქვთ და მანანასავით მისწრება იქნება ამ სკოლების ჩაბარება მათთვის, როგორც საქმის მხრივ, ისე საზრდოს მხრივ. მაშასადამე, ვიმეორებ, ბევრად ემჯობინება სკოლები მღვდლებს ჩავაბაროთ. მით უმეტეს, რომ საუკეთესო დრო სწავლისა ხევსურეთში არის მაშინ, როდესაც ბარად საზაფხულოდ ბალღებს ითხოვენ და ჩვენი მასწავლებლებით თუ თოკით არ დავაბით, იქ აღარ დადგებიან.

რაც შეეხება ქალების დანიშვნას მასწავლებლად ხევსურეთში, ეს ოცნებაა, ჯერ-ჯერობით მაინც. იქ, სადაც ქათმებს კვერცხები ნაწლევში ეყინება, (ეს ჩემის თვალით ვნახე); სადაც მთელის კვირაობით კარმიდამო მთლად თოვლს უჭირავს და ვერ გახვალ ვერც წყალზედ და ვერც მეზობელთან; სადაც მთელ ღამეებში მოისმის მარტო ქარისა და მგლების ყმუილი და ავდრიან დღეს ისე ჩამობნელდება, რომ დღისითაც უნდა სანათი იხმარო, რომ დაინახო რამ, ღამე ხომ ქექა და ქუხილი დედამიწის ნგრევას მოგაგონებს,—იქ ჩვენი ქალი მასწავლებლად ვერ გამოდგება. მაგალითიც იყო, რომ ვერ გასძლო, სული განუტევა და წამოღებაც ვერ შევძელით და იქვე მივაბარეთ მიწას.

როგორადაც ხევსურეთში, ამ გვარადვე ფშავში საუკეთესოდ და სასარგებლოდ უნდა ჩაითვალოს სკოლების გახსნა ს. ჩარგალში, შუაფხოში, მუქთეში და უკანაფშავში. ივრის ხეობაზე და იქ მოსახლე ფშაველებზე არას ვამბობ. ჩვენ ამ შემთხვევაში უნდა ვიყოლიოთ საკუთარი მეთვალყურე, ადგილობრივის კეთილ მოწესის გარეშე. ჩვენ დაგვრჩება საუკეთესო ადგილი სახელოსნო სკოლის გასახსნელად **ს. მაღაროსკარი**. ეს ადგილი ბევრად მარჯვე და მოხერხებულია ფშავის და ხევსურეთისთვის, უჭირავს ორივეს ყელები, მაშინ როდესაც ქ. თიანეთი მოშორებულია ერთსაც და მეორესაც, შუაში უდევს მთა გადასავალი და არც ჰავით და ცხოვრების სიიაფით მას არ შეედრება; პირველში სცხოვრებენ გულ-უბრყვილო ფშაველები, მეორეში კი ჩარჩ ბაცაცა ვაჭრები და ცხოვრებისაგან ავსა და კარგს ნაწვნევნი. სოფელ მაღაროში ერთკლასიანი სასწავლებელი ჰქონდა ქრისტ. აღმ. საზოგადოებას, აქ ასწავლიდა ბარისახოდამ გადმოსული ბ. ბაჩანა, ეს სკოლა ყოველის მხრით მოწყობილი იყო, თუ ფართო შენობით, თუ ბაღით და თუ თავშესაფარით. ბავშვები ბლომად სწავლობდნენ და რამდენჯერმეც დავწრებივარ გაკვეთილებს, მითქვამს მასწავლებლის შესახებ: „ნეტავი არის სახლი, რომელმან გშო შენ და ძუძუ, რომელსაც სწოვდი შენ!—ვერც ერთი ბარის სკოლა მას ვერ შეედრებოდა ნაყოფიერებით და მამულიშვილურის აღზრდით. დღეს ეს შენობა გადაბუგულია, როგორც გვესმის, მისი ედემის ბაღიც აოხრებული და გაპარტახებულია. როცა გემი დაიღუპა, ბაჩანა მოჰშორდა, სწავლაც, შენობაც და ბაღიც დაიმსხვრა და ნაფოტებად იქცა. დღეს ბაჩანა ჰალარით შემოსილია, მაგრამ გულით კი ისევ უტეხია და თუ მოიწვევთ, მაღაროს სკოლას ისევ გაგიცოცხლებსთ. მხოლოდ აქ მარტო ბაჩანა აღარა კმარა მიზნის მისახწევად. უნდა იქმნეს მოწვეული მეურნეც, რომელმაც ზედმიწევნით იცოდეს მებაღეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა (მთელს ხევსურეთში და ფშავშიაც მშვენივრად მოშენობს ფუტკარი), მესაქონლეობა და მეფრინველეობა (ფშავის ხეობაზედ ფრინველი მეტად ეგუება და მრავლობს). აი ეს სამეურნეო დარგებია საჭირო ხევსურთა და ფშაველთათვის და კიდეც ემყნებიან და იხეირებენ. ამასთანავე ვიტყვით, რომ თუ თიანეთში ან სხვა ადგილას საჭირო იქნება ერთი ბალღის შესანახად წელიწადში 30 თუმანი, აქ, მაღაროს-კარში, იკმარებს თვითო სულზე 10 თუმანი. ეს საქმე მიანდეთ **ბ-ნ ბაჩანას**, მაღაროელს **ხიზვას** და ისინი ითავებენ და მოაწყობენ. მოსწავლეებად უნდა მიიღებოდნენ ზემოჩამოთვლილ სკოლებში კურს დამთავრებული ფშაველნი და ხევსურნი; საკმარისია მაღაროს-კარში ორი წლის კურსები, თუ გაჭირდა სამის წლისა.

არის კიდევ მეორე გზა, რომლითაც ჩვენ შევიძლოთ სწავლა-განათლება შევიტანოთ ფშავსა და ხევსურეთში. ეს გზა მე მიმაჩნია უფრო საადვილოთ და სასარგებლოდ ჯერ-ჯერობით. ეს არის **მოძრავი სკოლების** დაარსება მთიელთათვის. მაგ. ხევსურეთში მაინც და მაინც, მკაცრის ზამთრის გამო, როგორც მასწავლებელნი, ისე მოსწავლენი დიდს დაბრკოლებას ნახავენ სწავლის წესიერად მსვლელობაში. მთაში და ნამეტნავად ხევსურეთში, საუკეთესო თავისუფალი დრო და ტოპოგრაფიული და კლიმატიური გარემოებანი ხელსაყრელნი არიან სწავლისთვის სამს თვეში: თიბათვესა, მკათათვესა და მარიამობისთვეში. ამ ხანებში ხევსურები არცა მკიან, არცა სთესავენ და არცა ჰლეწავენ რასმე. ქერიც და ბალახიც ჯერეც შემოუსვლელია. ჩვენ ამ ხანებში მრავლად მოგვეპოვება საშუალო სასწავლებლის თავისუფალი მოსწავლენი. მოვუწოდოთ სწავლის მოხალისეებს, ამ შემთხვევაში ისევ ღარიბ მღვდლის შვილებს სემინარიელებს, მივსცეთ სამი თვის სამსახურის ჯილდო, წიგნები, რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები, გავისტუმროთ ხევსურეთისკენ და დავავალოთ, რომ თითო წელს თითო ხეობაში დარჩნენ. ვნახოთ შედეგი შემოდგომაზედ. მე გამოცდილებით ვიცი, რომ რასაც ბარის ბალღი ითვისებს ექვს თვეს, იმას მთიელი სძლევს ერთს თვეს. მოვიდოდა ბალღი ათი-თორმეტის წლისა, დავაწყებინებინებდით დედა-ენას, ორ კვირაზედ შეითვისებდა წერა-კითხვას და ასოების ხატვას, შემდეგ გაგვეპარებოდა და თან წაიღებდა დედა-ენას და რვეულებს. რომ მოვძებნიდით და ვკითხავდით, რად წამოხვედით, გვეტყოდა: კი გავიგე სწავლის რიგი და აქ ძროხაში ვივლი და თან წიგნს ვატარებ და ვისწავლიო. მართლაც, განცვიფრებაში მოუყვანივართ მის სწორს კითხვას და ასოებით ხატვას.

აი საქმე ასეა და რომელს გზას საუკეთესოდ სცნობს ჩვენი საზოგადოება ხევსურთა შვილების საბედნიეროდ, ეს თქვენთვის მომინდვია.

მღ. ივ ხატიაშვილი.

დაბა-სოფლები

სოფ. მეჯვრისხევი. 2 თებერვალს მოხდა ადგილობრივ მომხმარებელ საზოგადოების „წარმატების“ წევრთა წლიური კრება. კრება გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ბათიაშვილმა. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მ. ლოლაძე, მდივნად გ. ჩიკოიძე. კრებას მოხსენდა წლიური ანგარიში, რომელიც უცვლელად იქმნა კრების მიერ დამტკიცებული. 1916 წ. განმავლობაში „წარმატებას“ მოუტანია 30404 მ. 31 კ. საქონელი და იმავე დროს გაუყიდნია 27248 მ. 55 კ საქონელი. საზოგადოებას დარჩენია წმინდა მოგება 773 მან. 75 კ. ეს მოგება კრების მიერ განაწილებულ იქნა შემდეგის სახით: 10% გადადო სათადარიგო თანხის გასაძლიერებლად, 100 მან. ადგილობრივ „მანდილოსნის“ საფეიქრო სკოლის სასარგებლოდ, 50 მან. ადგილობრივ უფასო სამკითხველოს სასარგებლოთ, და ნარჩენი 545 მანეთიდგან 2/3 მიეცა წევრებს პაიების სარგებელი და 1/3—ჯილდოთ გამგეობის წევრთ. გამგეობის წევრებმა ჯილდოს მიღებაზედ უარი განაცხადეს. ამასთანავე გამოითქვა სურვილი, რომ წევრებმა მიღებული %% და ჯილდო დასტოვონ „წარმატებაში“ ახალი პაის შეძენის სახით (პაი ღირს 5 მან.). აგრეთვე კრებამ ნება მისცა გამგეობას, რომ „წარმატებამ“ შეიძინოს ერთი პაი გორის სამეურნეო საზოგადოების განყოფილებაში ამასთანავე კრებამ დაადგინა მოსამსახურეებისათვის შემდეგი ჯამაგირები: პასუხისმგებელ ნოქარს 80 მან., ხაზინადარს 20 მან., საქმის მწარმოებელს 30 მან., კასსირს 40 მან. და დამლაგებელს 25 მან. თვეში.

ამის შემდეგ მოხდა გამგეობის და საბჭოს წევრთა არჩევნები. გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ისევ კოტე თულაშვილი, წევრებათ: მღ. ალ. ფხალაძე, ანდრიკო ჩუბინაშვილი და გიორგი ალიბეგოვი, საბჭოს თავმჯდომარეთ ვ. ბათიაშვილი, წევრებათ: ივ. მთიულიშვილი და ვლ. ჩიკოიძე.

კრებამ გამგეობას მადლობა გადაუხადა შრომისათვის, აგრეთვე—გამგეობის თავმჯდომარეს კ. თულაშვილს და წევრს გ. ალიბეგოვს უსასყიდლო შრომისათვის. კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ ფართლეულობა იქმნეს მოტანილი „წარმატებაში“, თორემ ორმაგ ტყავს გვაძრობენ ვაჭრებიო. გამგეობამაც დაჰპირდა გააფართოვოს ვაჭრობა, რამდენადაც ეს მოსახერხებელი იქნება მისთვის.

4 თებერვალს ღამით მოვიდა თოვლი თითქმის ნახევარ არშინის სიმაღლეზედ. თოვლის მიზეზით დილიჟანი მეორე დღეს გორში ველარ წავიდა.

ადგილობრივმა საზოგადოებამ „მანდილოსანმა“ სთხოვა თბილისის ქართულ კლუბს, რომ ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს „მანდილოსნის“ მიერ დაარსებულ საფეიქრო სკოლას მეჯვრისხევში.

1898 წელში დაბადებულნი გაიწვიეს ჯარში—სოფლის უკანასკნელი ნუგეში, ბევრს ოჯახს სრულებით გამოეკეტა კარი, ზოგიც მარტო ქალის ამარა დარჩა. სოფლად შეშა-წყლის მომტანი და საქონლის მომვლელი თითქმის აღარ მოიპოვება. აქი სარგებლობენ ჩარჩები ამ გარემოებით და ჩალის ფასად ყიდულობენ უპატრონოთ დარჩენილ საქონელს, — ერთად ერთ უმთავრეს ბოძს სოფლის მეურნეობისას. ბაღ-ვენახებზედ და მინდვრის დამუშავებაზედ ხომ სულ მეტია ლაპარაკი,—დარჩა ყოველივე უპატრონოთ.

ხიმართლე.

შემოწირულება

დ. ნაოლალევის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეობის მიერ, ადგილობრივი ინტელიგენციის შემწეობით და კერძო პირების დახმარებით მოწყობილ იქმნა ჩვეულებრივი საშობაო და საახალწლო მილოცვები „ალილოისა და ოყონური ანუ ყანურის“ და სხვა და სხვა გურულ-მეგრული სიმღერების თქმით, რომლის შემოსავალი უდრიდა სულ 290 მან. 15 კაპ.; ცხენების და ფაიტონის ქირად გავიდა 41 მ. 6. და დარჩა წმინდა შემოსავალი 249 მან. 15 კაპ. რომლიდანაც სამკითხველოს გამგეობამ 64 მან. 50 კაპ. გადასდო მომავალ თეატრის შენობის ასაგებლად და 184 მ.ნ. 65 კაპ. სამკითხველოს სასარგებლოთ. მონაწილეობას ამ მილოცვებში ღებულობდნენ შემდეგნი პირნი: 1, მარტვილის ორკლასიანი სასწავლებლის ზედამხედველი აკაკი გაბისონია, 2. უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის მხატვრობის მასწავლებელი აქსენტი ფარულავა, 3. მასწავლებლები მურზაყან სურმავა, 4. ნოე ქუთათელაძე, 5. გრიგოლი გაბისონია, 6. ფარმაცევტი სანია (იგივე ალექსანდრე) კვირაია, 7. უფროსი ფერშალი ნაოლალევის ქსენონისა გიორგი დოლიძე, 8. ლავრენტი მარკოზია და 9. თეოფანე ქუთათელაძე.

აღსანიშნავია, რომ მომღერალთა გუნდს აღტაცებით ხვდებოდა საზოგადოება და უხვი პატივისცემით ისტუმრებდა.

მომღერალთა გუნდი თავგამოდებით დღე და ღამე შრომობდა. ერთმა მათგანმა გამგეობის წევრმა, გიორგი დოლიძემ, ზემოხსენებულ მილოცვების წყალობით საშუალება მისცა სამკითხველოს არსებობისა და თან შემავალი თეატრის შენობის აგებასაც ხელი შეუწყო. თეატრის თანხად დღეს აქვს ნაღდათ 500 მან. ფულად შემოსწირეს: **თითო თუმანი:** X-მ, ანტ. ქუთათელაძემ; **ხუთ ხუთი მანეთი:** კო. ქუბაბრიამ, გ. ცაცხვაიამ, რ. სურმავამ, დ. კაიშაურმა, მ. ბირკაიამ, დ. ჩიქვანმა, იოილ ჟორდანიამ, ე. ოკუჯავამ და ი. დვალიშვილმა; **რვა მანეთი:** ერასტი და მაქსიმე ჩიქვანებმან; **სამ სამი მანეთი:** მღ. ს. ჟორდანიამ, მ. კალანდარაშვილმა, ბ. ქუბაბრიამ, ა. სურმავამ, მ. სურმავამ, ლ. ჯღარკავამ, ტ. ჩიქოვანმა, ექ. ჩიქვანაიამ, მასწ. მურზაყან სურმავამ, ყ. გალდავამ. მღ. ვლადიმერ გაბისონიამ, კ. სილაგაძემ, მ. გაბისონიამ, გ. იორდანოვმა, ბ. მოწერელიამ, დიკ. კ. გაწერელიამ, ბოქაულმა ა. ბინატოვმა, თ. კვირაიამ, ი. სულავამ, ვ. მასხულიამ და მ. ჟორდანიამ; **ორ ორი მანეთი:** დ. სურმავამ, ი. სურმავამ, ივლიტა ქუბაბრიასამ, ე. სურმავამ, ი. ცანავამ, ი. გვალიამ, მასწ. ბ. ახალაიამ, მასწ. ე. ახალაიამ, თ. ჯღარკავამ, მღ. ე. ახალაიამ, გ. ჩიქოვანმა, ს. სურმავამ, ყ. სურმავამ, სამ. სურმავამ, ა. სურმავამ, მასწ. რ. გეგეჭკორმა, ლ. სურმავამ, მღ. მ. გაწერელიამ, პატული ხარებავამ, მასწ. ვალ. გეგეჭკორმა, ა. გეგეჭკორმა, ა. ბერიამ, ვ. მეგრელიშვილმა, ვ. მონიავამ. მ. მონიავამ, მასწ. კ. ქაცარავამ, ა. გალდავამ, ყ. მასხულიამ, მ. გეგიძემ, დ. ჟორდანიამ, მ. ხარებავამ, ჟ. მასხულიამ, ს. ჟორდანიამ, დ. ნაოლალევის კოოპერატივმა „ნდობა“-მ, კ. გვალიამ, ლ. ქოჩუამ და ლ. ფაციამ; **მანეთ ნახევარი თითომ:** ინსპექტორმა მ. ლაბახუავამ, ა. რუხაიამ და ლ. სურმავამ, ნინა კორგანოვისამ მანეთი და სამი შაური; **თითო მანეთი:** მატრონა გაწერელიას ასულმა, მღ. ს. ქალაგანიძემ, ღვ. ლ. ქალაგანიძემ, ვ. ქალაგანიძემ, მასწ. პ. ქალაგანიძემ, ნინა გეგეჭკორმა, თ. გეგეჭკორმა, პ. ქუთათელაძემ, მღ. მ. გეგეჭკორმა, ი. მასხულიამ, ი. თოფურიძემ, ს. მასხულიამ, ვ. მასხულიამ, კ. მასხულიამ, ე. მასხულიამ, გაიანე მასხულიასამ, მასწ. გ. ცხაკაიამ, კ. მასხულიამ, ე. მასხულიამ, ე. კვეკვეციამ, მასწ. მ. პაპავამ, ბ. გულდავამ, ძ. ჟორდანიამ, ე. ძარიამ, დონა გეგიძემ, დ. კირთაძემ, კ. მამარდაშვილმა, ისააკ სულავამ, გ. ლეშინსკიმ, ე. სურმავამ, ფ. ჩხეტიამ, მ. ჯვებენავამ, მ. ყურაშვილმა, ს. ფირცხალავამ, ი. საკანდელიამ, კ. ხაჟომიამ, ს. ფოცხვერაიამ, ერასტი ჩიქვანაიამ, ა. ყუბარაძემ, ისაკო მერელაშვილმა, მ. ქუბაბრიამ, პ. სურმავამ, ნესტორ სურმავამ, ე. ბედიამ, გ. ჯანაშიამ, დ. ქილაიამ, ი. ბირკაიამ, გ. სულავამ, ა. მანტუამ, ბ. ბოლქვაძემ, ტ. ჩიხლაძემ, კ. გვაზავამ, ს. სურმავამ, ს. ნაგვაზოვის კოოპერაცია „წარმატება“-მ, სამსონ ლ. სურმავამ და ივანე სურმავამ; **ათ-ათი შაური:** ს. სურმავამ, ს. ბარჩილავამ, გ. ქიქოლუამ, ვ. ბარათელმა. მ. გალდავამ, ი. ხუნწელიამ, ლ. გაბისონიამ, გ. სულავამ, პ. ჟორდანიამ, მ. მდგვილავამ, ა. კვეკველიამ, პ. მასხულიამ, ზ. გაბისონიამ, გ. გაწერელიამ და მღ. ანდრია ქალაგანიძემ.

ნაოლალევის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარე,

ექიმი ილიონ **ჟორდანია.** მდივანი, მთავარ-დიაკონი ნიკოლოზ **ოხიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო ჭანჭიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.08	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3,20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.18	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.18	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ბაზ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3,	6 24	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3**,	8.10	დილ.

1917 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი **ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსავლელი დავითის ქ. № 2.

დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

(291—15)

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის
იუმორისტულ ჟურნალ
„ეშმაკის მათრახ“-ზე

ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ. თავართქილაძეს. (უ.)

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი
განათლება
(წელიწადი მეათე)

ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს ქართულს ოჯახებსა და სკოლებში წესიერად სწავლა-აღზრდის საქმეს ეროვნულს ნიადაგზე. „განათლება“ აწვდის მკითხველებს წერილებს, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების ყოველგვარ დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივად ყოველ თვე გარდა ზაფხულის ორის თვისა (ივლისი და აგვისტო).

ჟურნალში ჩვეულებრივად იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **თბილისში** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში, წერა-კითხვის საზოგად. წიგნის მაღაზიაში **გ. ავალიშვილთან,** „Новая рѣчь“-ის წიგნის მაღაზიაში **კიკნაძესთან** და „განათლების“ კანტორაში, ოლღას ქ. № 6. წლიურად ჟურნალი გაგზავნით ღირს 5 მან., თბილისში ხელისმომწერთათვის 4 მან., სოფლის სკოლის მასწავლებლებს, სახალხო სამკითხველოებს, საშუალო სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს, მუშებს ჟურნალი დაეთმობათ 3 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი ჟურნალისა ღირება 50 კაპ.

მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

თევზის მრეწველნი
ძმ. ძიძიგურები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ზმით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი „**მეშოხნი**“ **ხიზილალა.** მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება

სუსუნატით (პონორეა)
ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს **გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე მუშტისას, ჭაჭბისას და სხვ.**

რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავ დმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

იმიტომ, რომ,

ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

მაგრამ ყველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი „**ურიტალი**“. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

ურიტალი

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთელი კურსი ღირება 25 მან.

უფასოდ

გაეგზავნება ფოსტით დაწვრილებითი ბროშიურა რუსულ ენაზედ ვინც 10 კაპ. მარკას გამოგვიგზავნის. შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.**

За заказами и **справками** обратиться въ **Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1,** напротивъ Государственнаго Банка.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კაანდელისა, გაზეთის შესახვევი № 4